პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 1 ივლისი, 1949 წ. № 129 (8432). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პროფკავშირები და სოციალისტური შეჯიბრება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ი. ვიშინსკის ინტერვიუ გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტებს — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
რატომ ჩამორჩნენ ტყიბულელები ქვანახშირის მოპოვებაში (მე-2 გვერდი).
მძიმდებიან თავთავები (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).
ი. ფრანგულიანი — სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვანი ამოცანაა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პროფკავშირები და სოციალისტური შეჯიბრება

პროფესიული კავშირების X ყრილობამ პროფკავშირებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საბრძოლო ამოცანად დაუსახა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. „ყრილობას მიაჩნია, — ნათქვამია X ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, — რომ პროფკავშირთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა. პროფკავშირები პრაქტიკულად უნდა დაეხმარონ შეჯიბრებაში ჩაბმულთ იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც იკისრეს როგორც ცალკეულმა მუშებმა, ისე ბრიგადების, უბნების, საამქროებისა და საწარმოების კოლექტივებმა შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და წარმოების რაციონალიზაციის, ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისა და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების დარგში“.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მათ რაზმავს და აღაფრთოვანებს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, წინ მიუძღვის ხალხთა გენიალური ბელადი დიდი სტალინი.

პროფესიული კავშირები, როგორც ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები საბჭოთა კავშირში, მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მზარდ შრომით აღმავლობას, აქტიურად დაუჭირონ მხარი და საყოველთაო კუთვნილებად გადააქციონ ყოველი ის ახალი წამოწყება, რაც ქვევიდან, მასებიდან მომდინარეობს, დაეხმარონ საწარმოთა კოლექტივებს, ბრიგადებს, ცალკეულ სტახანოველებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა გაფორმებაში, ამ ხელშეკრულებებში ისეთი მუხლების შეტანაში, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო გეგმების შესრულებას.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი უნარიან ხელმძღვანელობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე გაჩაღებულია ბრძოლა საწარმოო და საძიებლო გეგმების ვადამდე შესრულებასთან ერთად ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მშენებლობის გაიაფებისა და ნედლეულის ეკონომიისათვის, სახსრების ბრუნვის დაჩქარებისა და წარმოების მაღალი კულტურის დანერგვისათვის.

თვითეული პროფესიული ორგანიზაციის, თვითეული საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შედეგიანი, როდესაც იგი უნარიანად ჩაუდგება სათავეში სოციალისტურ შეჯიბრებას, დროულად გამოეხმაურება მასების ინიციატივას, ქმედით ღონისძიებებს დასახავს სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობისათვის, ბოლომდე მიჰყვება დაწყებულ საქმეს და მიაღწევს საერთო წარმატებას.

ჩვენს საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე მრავლად გვყავს მოწინავე პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც კარგად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტი. როგორც კი ცნობილი გახდა კრასნოხოლმელი ფეიქრის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ჩუტკიხის თაოსნობა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, ამ საწარმოს სტახანოველები ერთ-ერთი პირველნი რესპუბლიკაში გამოეხმაურნენ მას. საფაბრიკო კომიტეტმა, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაამუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად. შეჯიბრებაში ჩაება ათობით ბრიგადა და ასობით სტახანოველი ფეიქარი. ფაბრიკის თვითეულ მუშას გააცნო ა. ჩუტკიხის თაოსნობის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოსათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. საფაბრიკო კომიტეტი მარტო ამით როდი დაკმაყოფილდა. იგი თვალყურს ადევნებს ხარისხისათვის მებრძოლი ბრიგადების მუშაობას, ავლენს მოწინავეებს, ეხმარება ჩამორჩენილებს.

ამავე ფაბრიკაში ასეთივე მხარდაჭერა ჰპოვა კუპავინელი ფეიქრების მ. როჟნევასა და ლ. კონონენკოს თაოსნობამ ნედლეულის ეკონომიისათვის, „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ კომბინატის საფეიქრო საამქროს ოსტატის თანაშემწის ვ. ვორონინის ინიციატივამ წარმოების მაღალი კულტურისათვის შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ყველა იმ წარმატების მოპოვებაში, რასაც ამ საწარმომ მიაღწია, სამეურნეო ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ფრიად თვალსაჩინოა საფაბრიკო კომიტეტის როლიც.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი უნარიანი ხელმძღვანელობით გამოირჩევიან აგრეთვე კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატის, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები.

მაგრამ ყველა პროფესიულმა ორგანიზაციამ, ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა როდი გააკეთა სათანადო დასკვნა პროფკავშირთა X ყრილობის რეზოლუციიდან. ყრილობის რეზოლუცია განსაკუთრებით უსვამს ხაზს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ელემენტები ჯერ კიდევ ყველგან როდია აღმოფხვრილი. ზოგჯერ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებში შეაქვთ ისეთი ვალდებულებანი, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობენ შრომითი კანონმდებლობიდან. მაგალითად, სადგურ აგარაში მწონავმა მარჯანიძემ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში შეიტანა ასეთი ვალდებულება: „თავის დროზე გამოვცხადდე სამუშაოზე. მუშაობის დროს არ ვიქნე მთვრალი. არ დავფარო ვაგონების გაცდენა ჩემის მიზეზით (?!)“. ცხადია, რომ ეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულებაა.

პროფესიული ორგანიზაციების, პირველ რიგში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მოვალეობაა ქმედითი დახმარება გაუწიონ მუშებს შეჯიბრების ინდივიდუალური და ბრიგადული ხელშეკრულებების გაფორმებაში, სწორად აღრიცხონ შეჯიბრების მონაწილეთა მიღწევები, თვითეულ საამქროში იქონიონ საპატიო დაფა, აქტიურად დაუჭირონ მხარი სტახანოველთა თაოსნობას, ბოლომდე მიჰყვნენ შეჯიბრების შედეგების შეჯამებას, აღმოფხვრან ფორმალიზმის ელემენტები.

პროფესიული კავშირების X ყრილობამ, პროფკავშირებში გაერთიანებული მრავალმილიონიანი მასების სახელით პირობა მისცა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, რომ საბჭოთა პროფკავშირები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის ერთგული და აქტიური გამტარებლები.

ამ ვალდებულების შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლა, შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესება, შეუნელებელი ბრძოლა ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

ნახევარი წლის გეგმების შესრულება

ქუთაისი. (საკ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლებმა, რომელთაც უნარიანად ხელმძღვანელობენ ინჟინრები ნ. ალხაზიშვილი და ნ. ჭიჭინაძე, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს განვლილი ნახევარი წლის სამშენებლო პროგრამა და 1 ივლისისათვის გეგმის გადამეტებით გადასცეს წარმოებას 1.092 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 6.000 კვადრატული მეტრი შიდასაქარხნო გზები.

მშენებელთა მოწინავე რიგებში არიან ზეინკალი ა. გედენიძე, ელექტროშემდუღებელი შ. გვეტაძე, მეარმატურე ო. რევიშვილი, დურგალი შ. ჭეიშვილი და 500-მდე სხვა მოწინავე მშენებელი.

სამტრესტის კონიაკ-არაყის ქარხნის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.776.400 მანეთის პროდუქცია, ხოლო საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით 5 თვეში სახელმწიფოსათვის განთავისუფლებულია 76.000 მანეთი და ზეგეგმითი დაგროვების თანხა გადიდებულია 1.535.000 მანეთამდე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ი. ვიშინსკის ინტერვიუ გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტებს

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტებმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხ. ა. ი. ვიშინსკის სთხოვეს აზრი გამოეთქვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის გამო, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, ამხ. ვიშინსკიმ შემდეგი განაცხადა:

— მაის-ივნისში პარიზში ჩატარებული საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესია შეიკრიბა წინა სესიიდან თითქმის წლინახევრის შემდეგ.

როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესია მიეძღვნა ორ საკითხს — გერმანიის საკითხს და ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხს, ამასთან გერმანიის საკითხი მინისტრების საბჭომ უკვე მესამედ განიხილა. მინისტრების საბჭოს ორი წინა სესია 1947 წელს, რომლებზეც გერმანიის საკითხი იყო განხილული, უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა არ გამოიჩინეს გერმანიის პრობლემის გადაწყვეტისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების სურვილი.

უნდა მოვაგონოთ, რომ ჯერ კიდევ 1946 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები დაადგნენ გერმანიის გათიშვის კურსს და უარყვეს პოტსდამში მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. ამ კურსის შესაბამისად ისინი ყოველნაირად აჭიანურებდნენ გერმანიის პრობლემის გადაწყვეტას და ცდილობდნენ ამასთან დაკავშირებით შექმნილი გაურკვევლობის გამოყენებას. უკვე მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ გერმანიის დასავლეთი ნაწილი და გამოეყენებინათ იგი ანტიდემოკრატიული და იმპერიალისტური მიზნებისათვის. ასეთი პოზიცია უხეშად ეწინააღმდეგებოდა პოტსდამის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის საჭიროებას.

იცავდნენ რა პოტსდამის საწინააღმდეგო ამ კურსს, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია გერმანიის გათიშვის განმტკიცებისაკენ და იმისაკენ, რომ გერმანიის დასავლეთი ზონები გადააქციონ თავიანთი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელების იარაღად.

ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა ფულის სეპარატული რეფორმა გერმანიის დასავლეთ ზონებში; ლიკვიდაცია ბერლინის სამოკავშირეთაშორისო კომენდატურისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორების კომენდანტები; სრულიად ბერლინის მაგისტრატის საქმიანობის შეწყვეტა; შეჩერება საკონტროლო საბჭოს მუშაობისა, რომელშიც შედიოდნენ ოთხი ზონის მთავარსარდლები და რომელიც მოქმედებდა სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე; დასავლეთ გერმანიისათვის თავს მოხვეული საოკუპაციო სტატუტი, რომლის მიზანია საოკუპაციო რეჟიმის მრავალი წლით განგრძობა; ანტიდემოკრატიული ეგრეთწოდებული ბონის კონსტიტუციის შექმნა, რომელიც მომზადებულია გერმანელი ხალხის ზურგსუკან, რათა გერმანელ ხალხს თავს მოახვიონ ფედერალისტური წყობილება; ბოლოს, ცდები, რომ გერმანიის დასავლეთი ზონები შეეტანათ „მარშალის გეგმის“ მოქმედების სფეროში, რათა გაეადვილებინათ გერმანიის დასავლეთი ზონების ეკონომიკის დამორჩილება ინგლის-ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალისათვის, — ყველა ეს ღონისძიება საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ რა შორს წავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები გერმანიის საკითხზე იმ ვალდებულებათა დარღვევაში, რომლებიც მათ იკისრეს პოტსდამის შეთანხმებით.

ასეთია ის კურსი, რომელსაც აი უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ახორციელებენ გერმანიის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გერმანიისათვის, არამედ ყველა ხალხისათვის, რომლებიც მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ მიისწრაფვიან. ასეთი კურსი, როგორც ეს თავიდანვე ცხადი იყო, განწირული იყო ჩასაფუშავად, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება გერმანიის ისტორიულ განვითარებას და მას გმობენ მთელი დემოკრატიული ევროპა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული წრეები.

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, როგორც ეს მთელი სიცხადით გამოირკვა პარიზში მინისტრების საბჭოს მუშაობის დროს, იმედს არ კარგავდნენ, რომ სესია წაეყვანათ თავიანთი ეგრეთ წოდებული „მტკიცე“ კურსის გზით და ცდილიყვნენ წარმატება მოეპოვებინათ ამ გზაზე. სწორედ ასეთი აზრი ჰქონდა იმ მემორანდუმს, რომელიც ბ-ნმა აჩესონმა, ბევინმა და შუმანმა შეიტანეს პარიზში პასუხად საბჭოთა დელეგაციის წინადადებისა გერმანიის ერთიანობის საკითხზე. სწორედ ზემოაღნიშნულ მიზანს — რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოეწონებინა მათი სეპარატული ღონისძიებანი გერმანიის მიმართ, ასე ვთქვათ, ლეგალური გაეხადათ თავიანთი გამთიშველი საქმიანობა და თავს მოეხვიათ გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის თავიანთი ანტიდემოკრატიული გეგმა — ისახავდა დასავლეთის სამი მთავრობა, როცა თავიანთი მემორანდუმი შეიტანეს დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — „გერმანიის ერთიანობის შესახებ“.

დასავლეთის სამმა მთავრობამ ამ შემთხვევაში იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონეს, რომ წინადადება წამოეყენებინათ, რომ გერმანიის აღმოსავლეთი ზონა უბრალოდ შეერთებოდა ეგრეთ წოდებულ ბონის კონსტიტუციას, მიეღო საოკუპაციო სტატუტი და დამორჩილებოდა დასავლეთის სამი მთავრობის დიქტატს, რომლებსაც სრული თავისუფლება უნდოდათ მიეღოთ გერმანიის ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

მიუხედავად მაღალფარდოვანი ფრაზების სიუხვისა, რასაც არ იშურებდნენ პარიზის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, როცა ლაპარაკობდნენ, რომ გერმანელებს მინიჭებოდათ „ხმის ფართო უფლება საკუთარი საქმეების წარმოებისას“, როგორც ბ-ნმა აჩესონმა ეს განაცხადა პრეს-კონფერენციაზე 23 ივნისს, დასავლეთის სამი დელეგაციის მემორანდუმი ითვალისწინებდა უვადო საოკუპაციო სტატუტის შემოღებას ამ ფაქტიდან გამომდინარე ყველა შედეგით, რომელიც, როგორც ცნობილია, გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ გაეჭიანურებინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და, გერმანელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც შეიძლება მეტხანს დაეტოვებინა გერმანიაში სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი.

სამი მთავრობის წარმომადგენლებს სურდათ ამ პროგრამის განხორციელება პარიზის სესიაზე. მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს საბჭოთა დელეგაციის მიერ დაკავებული მტკიცე პოზიციის გამო.

ამრიგად, დასავლეთის სამი დელეგაციის ცდამ, რომ მემორანდუმში ჩამოყალიბებული წინადადებანი დაეპირდაპირებინათ საბჭოთა დელეგაციის წინადადებებისათვის, მარცხი განიცადა. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები იძულებული აღმოჩნდნენ მოეძებნათ სხვა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, გერმანიის საკითხის სხვა გადაწყვეტა.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის მოულოდნელი არ ყოფილა სხვა გამოსავლის ძებნის აუცილებლობა, ვინაიდან მათთვის უკვე ცხადი იყო ის მარცხი, რომელიც განიცადა გერმანიის მიმართ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის პოლიტიკის კურსმა. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა დასავლეთის სამი დელეგაციის ახალი წინადადებანი გერმანიის საკითხზე. ამ წინადადებებში არა თუ აღარ ყოფილა არავითარი გადაკრული აზრი იმის შესახებ, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის მიმართ დღემდე ახორციელებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, სწორია, არამედ, პირიქით, პირდაპირ აცხადებდნენ, რომ საჭიროა ღონისძიებათა მიღება გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღსადგენად, რათა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდეგ სესიაზე მიღწეულ იქნას ის შედეგი, რის მიღწევაც ამ მხრივ ამ სესიაზე არ მოხერხდა. ეს, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის მიმართ ამერიკის პოლიტიკის სისწორის დადასტურებად, რის დამტკიცებასაც ახლა ცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგებისადმი მიძღვნილ თავიანთ უკანასკნელ გამოსვლებში.

სინამდვილეში, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე მიღწეული შეთანხმება გერმანიის საკითხზე სერიოზულად სცილდება ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის თავდაპირველ წინადადებებსა და გეგმებს. თუ ყურადღებით წავიკითხავთ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომუნიკეს, ძნელი არ არის დავინახოთ ოთხი მინისტრის მიერ მიღებულ კომუნიკეში იმ წინადადებათა ძირითადი იდეები, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მინისტრების საბჭოში მისი მუშაობის პირველსავე დღეებში.

მართლაც, როგორი იყო საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე? რა წინადადებებით გამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის რა პრინციპებს იცავდა იგი?

მოკლედ რომ ითქვას, საბჭოთა დელეგაციის პოზიცია იმით განისაზღვრებოდა, რომ დაეჩქარებინა გერმანიის პრობლემის მოწესრიგება გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის მიზნით, აგრეთვე პოტსდამის პრინციპების საფუძველზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება და დადება, რაც საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერდა და უჭერს მხარს პოტსდამის შეთანხმების ზუსტად და თანმიმდევრულად დაცვას, იცავს გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენას, გერმანიის ერთიანი, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, გერმანიისათვის თავისუფალი და თანასწორუფლებიანი მშვიდობისმოყვარე ერის უფლებების დაბრუნებას.

სწორედ ამით განისაზღვრებოდა საბჭოთა კავშირის პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე. ამით განისაზღვრებოდა ის წინადადებანიც, რომლებიც ამ სესიაზე შეიტანა საბჭოთა დელეგაციამ, სახელდობრ:

1) გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მომზადება, რათა ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინებული იყოს გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ;

2) გერმანიაში წინანდელ საფუძველზე საკონტროლო საბჭოს საქმიანობის აღდგენა, როგორც ისეთი ორგანოსი, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს უმაღლესი ძალაუფლება გერმანიაში;

3) ბერლინის სამოკავშირეთაშორისო კომენდატურის აღდგენა ბერლინის მართვის საერთო საქალაქო ღონისძიებათა საკოორდინაციოდ და მთლიანად ბერლინის ნორმალური ცხოვრების უზრუნველსაყოფად;

4) აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში ამჟამად არსებული გერმანული ეკონომიური ორგანოების საფუძველზე სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭოს შექმნა, როგორც გერმანიის ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრისა მთავრობის ფუნქციებით ეკონომიური და სახელმწიფო მშენებლობის დარგში საკონტროლო საბჭოსათვის უმაღლესი ძალაუფლების დატოვებით;

5) აღდგენა სრულიად ბერლინის მაგისტრატისა, რომელმაც საქმიანობა შეწყვიტა 1947 წელს დასავლეთ მაოკუპირებელ ხელისუფალთა სეპარატული მოქმედების შედეგად;

6) ბერლინისათვის ერთიანი ვალუტის დაწესება ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმებული დებულებების საფუძველზე, რომ 1948 წლის 20 აგვისტოს სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა ზონის გერმანული მარკა შემოღებული იქნება როგორც ერთიანი ვალუტა ბერლინისათვის, ხოლო დასავლეთის მარკა ამოღებული იქნება ბერლინში მიმოქცევიდან.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციის ეს წინადადებანი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. საზავო ხელშეკრულების შედგენის პროცედურის მოსამზადებელი მუშაობის დამთავრების შესახებ წინადადებაც კი არ იქნა მიღებული იმ საბაბით, რომ უკვე არსებული პროექტი პროცედურისა მოძველდა და ვითომდა ძირეულ გადაკეთებას მოითხოვს. მაგრამ ვერც ერთმა მინისტრმა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჩესონმა, რომელიც ყველაზე მეტად ილაშქრებდა ამ სესიაზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განხილვის წინააღმდეგ, ვერ თქვა, სახელდობრ რა უნდა შეიცვალოს პროცედურის ხსენებულ პროექტში.

ნათქვამიდან ცხადია, რომ გერმანიის საკითხში საბჭოთა კავშირი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე თანმიმდევრულად იცავდა თავის პრინციპულ პოზიციას, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა პოტსდამის შეთანხმებას, და უარყოფდა ყოველგვარ ცდას გადაეხვიათ პოტსდამის გადაწყვეტილებათა პრინციპებისათვის გერმანიის საკითხში.

ამის შედეგად დასავლეთის სამ დელეგაციას მოუხდა კურსის შეცვლა. გერმანიის შესახებ ზოგიერთი საკითხის მოსაწესრიგებლად ისინი იძულებული იყვნენ ეფიქრათ სხვა საფუძველზე, ვიდრე ზემოაღნიშნული მემორანდუმია. ბოლოსდაბოლოს სწორედ ასეთი საფუძველი გახდა საბჭოთა წინადადებანი.

როგორც უნდა ეცადოს დასავლეთის სამი მთავრობა უარყოს ეს, ფაქტია, რომ ოთხ მინისტრს შორის შეთანხმებული კომუნიკე აგებულია საბჭოთა წინადადებების მიხედვით!

განა ეს არ დასტურდება კომუნიკეს მეორე პუნქტით, რომელშიც ნათქვამია, რომ „საოკუპაციო ხელისუფალნი, გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის მისაღწევად თავიანთ ღონისძიებათა განგრძობის შესახებ მინისტრების განზრახვის მიხედვით, ურთიერთს კონსულტაციას გაუწევენ ბერლინში ოთხმხრივ საფუძველზე“? განა ამაზე არ მეტყველებენ აგრეთვე კომუნიკეს სხვა პუნქტებიც, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ოთხმხრივი კონსულტაცია ბერლინის მართვის დარგში, კონსულტაციებში გერმანელ ექსპერტთა მონაწილეობა, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების ხელმძღვანელ გერმანულ ორგანოებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარება, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებს შორის, აგრეთვე ბერლინსა და ზონებს შორის ვაჭრობის გაფართოება და სხვა?

ეს პუნქტები წარმოადგენენ ხამი მინისტრის აშკარა უკან დახევას თავიანთი ძველი პოზიციიდან, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიის საკითხები გადაეწყვიტათ საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მიუღებლად, როგორც ამის შესახებ შეთანხმდნენ ერთმანეთს შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები 1948 წელს ლონდონში და დაადასტურეს ეს 1949 წლის გაზაფხულზე ვაშინგტონში.

ახლა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა საჭიროდ ჩათვალეს დათანხმებოდნენ ოთხმხრივ კონსულტაციებს გერმანიის საკითხში, ნაცვლად სამმხრივი კონსულტაციებისა, რომელიც მათ პრაქტიკაში შემოიღეს ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, რითაც უხეშად არღვევდნენ პოტსდამის შეთანხმების პრინციპს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევჩერდეთ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგების შესახებ ბ-ნ აჩესონის მიერ ვაშინგტონში 23 ივნისს პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადების იმ ნაწილზე, რომელშიც ბ-ნი აჩესონი ამტკიცებდა, რომ თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ გერმანელებს მიენიჭოთ „თავისუფლება მათ საკუთარ საქმეებში“ და „შესუსტდეს მაოკუპირებელ ხელისუფალთა კონტროლი“, და თითქოს საბჭოთა კავშირი „ვერ ბედავს ასევე მოიქცეს“.

მაგრამ ეს მტკიცება არასერიოზულია და საფუძველს მოკლებულია. მართლაც, ისე რომ იყოს, როგორც ბ-ნი აჩესონი აცხადებს, მაშინ რით უნდა აიხსნას, რომ იგი და მისი დასავლეთელი კოლეგები გადაჭრით ილაშქრებდნენ საბჭოთა დელეგაციის ყველა წინადადებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა და გერმანელებს მიენიჭოთ „თავისუფლება მათ საკუთარ საქმეებში“! განა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრმა და მისმა მხარდამჭერმა ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრებმა არ უარყვეს საბჭოთა დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში მოქმედი ეკონომიური გერმანული ორგანოების საფუძველზე შეიქმნას სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭო? განა მათ არ უარყვეს საბჭოთა დელეგაციის მეორე წინადადებაც — რჩევა მიეცეთ აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონების გერმანულ ეკონომიურ ორგანოებს შექმნან საკოორდინაციო ეკონომიური ორგანო? განა ამერიკის

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ი. ვიშინსკის ინტერვიუ გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტებს

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგების შესახებ

(დასასრული)

შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მინისტრებმა არ თქვეს უარი სათანადო დახმარება აღმოეჩინათ ასეთი ორგანოს შექმნისა და მისი საქმიანობისათვის, რასაც მტკიცედ მოითხოვდა საბჭოთა დელეგაცია? განა მათ არ უარყვეს აგრეთვე საბჭოთა წინადადება სრულიად ბერლინის მაგისტრატის აღდგენის შესახებ და სსრ კავშირის წინადადება — რჩევა მისცემოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონების ხელმძღვანელ გერმანულ ეკონომიურ ორგანოებს შეექმნათ ეკონომიური წარმომადგენლობანი, სხვათა შორის, ამ გერმანული ორგანოების სავაჭრო და საერთოდ ეკონომიური საქმიანობის განვითარების მიზნით? ბოლოს, განა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებმა არ უარყვეს საბჭოთა კავშირის წინადადებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისა და გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გამოსაყვანად მოკლე ვადის დაწესების შესახებ? რაც შეეხება სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხს, განა დასავლეთის სამმა მინისტრმა არ ცხადყო პარიზის სესიაზე, თუ რამდენად არ სურთ მათ ასეთი მთავრობის შექმნა?

როგორღა შეეძლო ამ უდავო ფაქტების შემდეგ ბ-ნ აჩესონს ნება მიეცა თავისი თავისათვის და აშკარა ფაქტების წინააღმდეგ განეცხადებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ მიანიჭონ გერმანელებს „თავისუფლება მათ საკუთარ საქმეებში“, ხოლო საბჭოთა კავშირს თითქოს არ სურს მიანიჭოს გერმანელებს „თავისუფლება მათ საკუთარ საქმეებში“?

იმავე პრეს-კონფერენციაზე ბ-ნმა აჩესონმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის აღდგენაში მიღწეულ წარმატებებში უნდა ვეძიოთ იმის ახსნა, რაც პარიზში მოხდა. ამის გამო მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ არა წარმატებებზე, არამედ „მარშალის გეგმის“ წარუმატებლობაზე უნდა გველაპარაკნა, თუ ანგარიშს გავუწევთ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ ფაქტებს. მართლაც, თუ „მარშალის გეგმა“ წარმატების მქონე გეგმა აღმოჩნდა, რით უნდა აიხსნას, რომ ამ გეგმის ავტორი მოხსნეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან და შეცვალეს სხვა მინისტრით? მე ვფიქრობ, რომ სწორედ „მარშალის გეგმის“ წარუმატებლობაში უნდა ვეძიოთ იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ სამმა მინისტრმა პარიზის სესიაზე უკან დაიხია მათი თავდაპირველი ეგრეთ წოდებული „მტკიცე პოლიტიკიდან“.

რაც შეეხება ავსტრიის ხელშეკრულების საკითხს, პარიზის სესიაზე მოხერხდა შეთანხმება ამ საკითხზე იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს მოუხდათ შეეცვალათ თავიანთი პოზიცია ამ საქმეში, მოეხსნათ თავიანთი მოსაზრებანი აღმოსავლეთ ავსტრიაში ყოფილი გერმანიის საკუთრების შესახებ საბჭოთა კავშირის კანონიერ მოთხოვნათა წინააღმდეგ. სწორედ ის, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფო უარს ამბობდა ეცნო საბჭოთა კავშირის კანონიერი უფლებები ამ ქონებაზე, სწორედ ეს იყო მთავარი დაბრკოლება ავსტრიის საკითხზე შეთანხმების მისაღწევად, თუმცა ავსტრიის ხელშეკრულების განხილვას საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებმა 160-ზე მეტი სხდომა მოანდომეს.

შეთანხმებით ავსტრიასთან ხელშეკრულების შესახებ მოწესრიგდა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომლებიც სადავოდ რჩებოდნენ იუგოსლავიასა და ავსტრიას შორის. იუგოსლავიისათვის უზრუნველყოფილ იქნა მისი ეკონომიური ინტერესები იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებული ავსტრიის საკუთრების მისთვის გადაცემით. უზრუნველყოფილ იქნა აგრეთვე ბურგენლანდში, კარინტიასა და შტირიაში სლოვენ და ხორვატ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა. ავსტრიისადმი იუგოსლავიის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიამდე დიდი ხნით ადრე, იუგოსლავიის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის ზურგს უკან ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ინგლისის წარმომადგენლებთან ნოელ ბეკერისა და სახელმწიფო მინისტრ მაკნეილის სახით, მაგრამ მათგან ვერავითარი დათმობა ვერ მიიღეს. ცხადია, რომ ასეთი ფარული მოლაპარაკებისათვის საბჭოთა მთავრობა ვერავითარ პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგებზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, — გერმანიის გათიშვის, საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავების პოლიტიკის კურსის უეჭველი მარცხი და გერმანიის ერთიანობის აღდგენის, საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების, საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის კურსის უეჭველი წარმატებანი.

ასეთია, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგები.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის მოწვევისათვის პირობების მომზადების საკითხს, ამ საქმეში, როგორც ცნობილია, იყო ზოგიერთი ურთიერთდათმობა, როგორც დასავლეთის სამი მთავრობის მხრივ, ისე საბჭოთა მთავრობის მხრივ. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი თანახმაა მოხსნას სატრანსპორტო და სხვა შეზღუდვანი, თუ დასავლეთის სამი მთავრობა თავის მხრივ დათანხმდება მოხსნას თავისი სატრანსპორტო და სხვა შეზღუდვანი, უარს იტყვის ოთხი მთავრობის თანამშრომლობის ბოიკოტზე და დათანხმდება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს აღდგენას. სამი მთავრობა წავიდა ამ დათმობაზე.

ვფიქრობ, მომავალშიც საჭირო იქნება ზოგიერთი ურთიერთ დათმობანი, რაც შეესაბამება პოტსდამის შეთანხმების საფუძვლებსაც.

კომუნიკე

ოთხი სახელმწიფოს გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურთა მოადგილეების თათბირის შესახებ

ბერლინი, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს, 28 ივნისს, ბერლინში საკონტროლო საბჭოს შენობაში შედგა ოთხი სახელმწიფოს გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურთა მოადგილეების თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს გენერალ-ლეიტენანტმა დრატვინმა (სსრ კავშირი), გენერალ-მაიორმა ჰეისმა (ამერიკის შეერთებული შტატები), გენერალ-მაიორმა მაკლინმა (დიდი ბრიტანეთი) და ბრიგადის გენერალმა ბაპოტმა (საფრანგეთი), აგრეთვე პოლიტიკურმა მრჩევლებმა.

თათბირს თავმჯდომარეობდა გენერალი მაკლინი.

საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურთა მოადგილეებმა განიხილეს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საჭიროა გერმანიის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ოთხი სახელმწიფოს საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურთა მოადგილეების შემდეგი სხდომა შედგება სამშაბათს, 5 ივლისს.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მსმენელთა გამოშვება

28 ივნისს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მსმენელთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

საღამოს უნივერსიტეტის განვლილი მუშაობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის დირექტორი დოცენტი ი. ხუციშვილი.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის, ისტორიისა და ეკონომიის ფაკულტეტი 136 ამხანაგმა დაამთავრა. კურსდამთავრებულთა შორის არიან პარტიული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერი მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები, პედაგოგები და სხვ. 95 კაცმა უნივერსიტეტი ფრიადი და კარგი წარმატებით დაამთავრა. მათ შორის არიან თ. საჯაია, გ. აბულაძე, გ. გეგეშიძე, ზ. იაშვილი, ა. იორამაშვილი, გ. სულაძე, ა. პრიხოდკო, ვ. ლითანიშვილი, თ. კვარაცხელია, ვ. გაბუნია და სხვ.

მოხსენების დასასრულს ამხ. ხუციშვილმა მიულოცა მსმენელებს უნივერსიტეტის დამთავრება და მოუწოდა მათ მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

საზეიმო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს დოცენტებმა ვ. ბახტაძემ, ი. კაჭარავამ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სახელით საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. გაბუნია და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურული მუშაკი ზ. იაშვილი.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის გამოშვებისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას დაესწრო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ჯიშიაშვილი.

პარტიული ცხოვრება

ვიბრძვით კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის

ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის გასული წლის აგვისტოს სესიის მიერ დასახული ამოცანების მიხედვით ჩვენს ინსტიტუტში წარმოებული მუშაობის შემოწმებამ ნათელყო, რომ ბიოლოგიურ მეცნიერებათა სწავლება მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველზე არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა, რომ ფორმალისტური გენეტიკის სწავლებამ ჩვენს ინსტიტუტშიც სერიოზული ზიანი მიაყენა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეს.

ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის, მთელი კოლექტივის მთავარ საბრძოლო ამოცანად დაისახა აღმოგვეფხვრა მორგანისტულ-ვეისმანისტურ შეხედულებათა ნაშთები, სქოლასტიკა და ფორმალიზმი, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მუშაობა მთლიანად გარდაგვექმნა მიჩურინული მატერიალისტური ბიოლოგიის საფუძვლებზე.

საჭირო იყო გაგვეძლიერებინა მეცნიერ მუშაკთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, მტკიცედ შეგვეიარაღებინა პროფესორ-მასწავლებელთა კადრები მარქსისტული მატერიალისტური მსოფლმხედველობით.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ეხმარება მეცნიერ მუშაკებს მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში. ინსტიტუტში შექმნილია პროფესორ-მასწავლებელთა მუდმივ მოქმედი სემინარები ფაკულტეტების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა დამოუკიდებელი მუშაობა პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლისათვის გადაჭრით გაუმჯობესდა სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის აგვისტოს სესიის შემდეგ.

პროფესორ-მასწავლებლებს რევოლუციური თეორიის დაუფლებაში დიდ დახმარებას უწევენ მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორები: ი. ჩხარტიშვილი, ი. შარაშენიძე, ს. სიმონგულოვი, შ. სიამაშვილი, დ. ჩოკვაიძე, ი. ყაჭიური, თ. კოსტანაშვილი და ვ. რუხაძე. ისინი ხშირად კითხულობენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის ლექციებსა და მოხსენებებს. პარტიული ორგანიზაცია ქმედით დახმარებას უწევს მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებს თეორიული კონფერენციების, თეორიული გასაუბრებებისა და კონსულტაციების მოწყობით.

ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის სერიოზულ ნაკლს დღემდე წარმოადგენს ის, რომ ისინი წლითიწლობით ერთსა და იმავე მასალას აწვდიან სტუდენტებს, მაშინ როცა ჩვენი მეცნიერება განუწყვეტლივ მდიდრდება ახალ-ახალი აღმოჩენებით. აუცილებელია საქმე ისე დავაყენოთ, რომ ინსტიტუტის ყველა მეცნიერი მუშაკი მუდამ ადევნებდეს თვალს მეცნიერების თავისი დარგის განვითარებას, ამდიდრებდეს და აღრმავებდეს თავის პადაგოგიურ მუშაობას.

სერიოზული მუშაობა წარმოებს სტუდენტობაში, აკადემიკოს ლისენკოს მოხსენებისა და აგვისტოს სესიის გადაწყვეტილების შესასწავლად. შევადგინეთ და დავამტკიცეთ მიჩურინული კითხვის საღამოების მოწყობის გეგმა, რომელიც შედგება 204 თემისაგან. გათვალისწინებულია ასეთი თემები: ტიმირიაზევი—დიდი რუსი მეცნიერი, მიჩურინი — ბუნების დიდი გარდამქმნელი, ტიმირიაზევი და დარვინიზმი, აკადემიკოს ვილიამსის მოძღვრება სოციალისტური მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ, მიჩურინი და ახალგაზრდობა, აკადემიკოსი ლისენკო, როგორც მიჩურინის საქმის გამგრძობი, შეჯვარების მიჩურინული ტექნიკა, ჰიბრიდების აღზრდა, სელექცია და იმუნიტეტი, მიჩურინული ბიოლოგია შემოქმედებითი მეცნიერებაა და სხვ.

ამ თემებზე სტუდენტების მუშაობა რომ კარგად წარიმართოს, კონსულტანტებად გამოყოფილია 8 პროფესორი და დოცენტი. მიჩურინული საღამოების ჩატარება დაიწყო ორი პლენარული სხდომით, რომლებზეც მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები, დოცენტები და სოფლის მეურნეობის ნოვატორები. განხილულ იქნა საკითხები: მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების გამარჯვება აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში; ბიოლოგიური მეცნიერების ისტორია იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზია; მიჩურინული ბიოლოგია პრაქტიკაში. ამ უკანასკნელ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ კოლმეურნე მცდელი ბესტავაშვილი და აგრონომი მახათელაშვილი. 25 თებერვალს ჩავატარეთ მეორე პლენარული სხდომა, რომელზეც შემდეგი მოხსენებები იქნა მოსმენილი: მარქსიზმ-ლენინიზმი მიჩურინული ბიოლოგიის თეორიული საფუძველია; საბჭოთა კავშირის ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა და მინდორსაცავი ტყის ზოლების მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში; სიმინდის სარეკორდო მოსავლის მიღწევის გზების შესახებ. ამ უკანასკნელ საკითხზე მოხსენება გააკეთა სოციალისტური შრომის გმირმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ჩ. ქვაჩახიამ. საკითხზე — როგორ ვიბრძვით სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაღალი მოსავლიანობისათვის, მოხსენება გააკეთა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ძ. რიგვავამ.

განზრახულია მოკლე დროში გალის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ჩავატაროთ გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც ხელს შეუწყობს პრაქტიკულად მომუშავე სპეციალისტებს ცოდნის დონის ამაღლებაში.

პრაქტიკოსი მიჩურინელების გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ-მასწავლებელთა შორის. ასეთი დაახლოება პრაქტიკოს მიჩურინელებთან, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში.

ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია ამჟამად პროფესორ-მასწავლებელთა საშუალებით სერიოზულ მუშაობას ეწევა კოლმეურნეობებისათვის დასახმარებლად. ადგილებზე ეწყობა ლექციები და მოხსენებები, სოფლად მომუშავე ამხანაგებისათვის იცემა მეცნიერულ-პოპულარული ბროშურები.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მუშაობის სერიოზულ ნაკლს ჯერ კიდევ წარმოადგენს ინსტიტუტის სუსტი კავშირი კოლმეურნეობებთან. ინსტიტუტმა დღემდე ვერ შეძლო მოეხდინა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა, სოციალისტური შრომის გმირთა გამოცდილების მეცნიერული განზოგადება.

ჯერ კიდევ არასაკმარისად ვიბრძვით საბუნებისმეტყველო მეცნიერების პარტიულობის ლენინურ-სტალინურ პრინციპების ბოლომდე გატარებისათვის, არ წარმოებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა ლექციების სტენოგრაფიული ჩაწერა, მათი შემოწმება. სისტემატურად არ ეწყობა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოთა განხილვა, რის გამო ახალგამოცემული სახელმძღვანელოები შეიცავენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს, ზოგ შემთხვევაში პრინციპული ხასიათის შეცდომებს და ბურჟუაზიული მეცნიერების წინაშე ქედის მოხრის ელემენტებსაც. ინსტიტუტის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების შემდგომ აღმავლობას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში პარტიულობის პრინციპის ბოლომდე დანერგვას.

საბჭოთა საზოგადოებრიობამ ერთსულოვნად მიიღო მიჩურინ-ლისენკოს თეორია ჯიშების გავრცელების ძველი ზონებიდან ახალ ზონებში გადაადგილებისა და ადამიანთა გონივრული შემოქმედების შედეგად ახალი ჯიშების, სახეების გამოყვანის შესახებ. სოფლის მეურნეობის მეცნიერთა საპატიო ამოცანაა უზრუნველყონ მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, განუხრელად შეასრულონ საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობის მითითებანი ამ მიმართულებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რასაც პარტია უმაღლეს სკოლას უყენებს, არის მომავალი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობისათვის. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს რეფერატების შედგენა სტუდენტების მიერ, სამეცნიერო წრეებში მუშაობა, სამეცნიერო კონფერენციებზე სტუდენტთა გამოსვლა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩატარებულმა მუშაობამ სათანადო შედეგი გამოიღო. სტუდენტთა საქალაქო კონფერენციაზე საუკეთესო ნაშრომის წარდგენისათვის ბევრი ჩვენი სტუდენტი დაჯილდოებულ იქნა.

ინსტიტუტში ხშირად ტარდება ღია პარტიული კრებები, რომლებიც ეძღვნება პარტიის ისტორიისა და თეორიის აქტუალური საკითხების განხილვას.

ერთ-ერთ კრებაზე მოსმენილ იქნა დოცენტ ს. სიმონგულოვის მოხსენება თემაზე: „ინტელიგენციის იდეური აღზრდის უბადლო სახელმძღვანელო“ — ი. ბ. სტალინის ნაშრომის „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნების 10 წლისთავის შესრულების გამო. მოვისმინეთ დოცენტ თოფურიძის მოხსენება თემაზე: „მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

თეორიული საკითხების განხილვა ღია პარტიულ კრებებზე საგრძნობლად უწყობს ხელს ინსტიტუტის პარტორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უმაღლესი სკოლისაგან მოითხოვენ ინტელიგენციის ისეთი კადრების მომზადებას, რომლებიც ჩინებულად არიან დაუფლებულნი თავის სპეციალობასთან ერთად მარქსიზმ-ლენინიზმს, შესწევთ უნარი იყვნენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. ამ მოთხოვნის განუხრელად შესრულებას უნდა დაექვემდებაროს ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა.

ბ. ჩაგელიშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი

ი. ბ. სტალინის მონუმენტი

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ეზოში დაიდგა ი. ბ. სტალინის მონუმენტი. მონუმენტის სიმაღლე 5 მეტრია.

მონუმენტის გარშემო გაშენდა ბაღი.

რატომ ჩამორჩნენ ტყიბულელები ქვანახშირის მოპოვებაში

მიმდინარე წელს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა მხოლოდ ორ თვეში — იანვარსა და მარტში შეასრულა დავალება, დანარჩენ თვეებში გეგმა არ შესრულებულა.

ტრესტის ჩამორჩენის მიზეზია სამუშაო ფრონტის უქონლობა და ტყიბულქვანახშირის ტრესტის, მისი შახტებისა და თვით ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელთა არაოპერატიული, კაბინეტური სტილით მუშაობა. მოვიყვანთ მაგალითებს:

ლენინის სახელობის შახტმა ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ხუთი თვის გეგმა 71,7 პროცენტით შეასრულა. რატომ?

შახტში ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს მოწინავე მთხრელის, სოციალისტური შრომის გმირის ა. ქასრაძის ბრიგადა. ბრიგადა ნახევარ წელზე მეტია ახდენს მინუს ას ჰორიზონტზე საველე შტრეკის გაჭრას, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის. ეს ბრიგადა ნახევარჯერ გამცდარია იმის გამო, რომ მას ხელს არ უწყობენ შახტის ხელმძღვანელები, არ აწვდიან ცარიელ ვაგონებს ფუჭი ქანის გამოსაზიდავად. ბრიგადა ფერხდება იმითაც, რომ სანგრევიდან 150 მეტრის მანძილზე ფუჭი ქანით დატვირთულ ვაგონს აგორებენ ხელით, რადგან ძალიან ცუდი ლიანდაგის გამო საშახტო ელმავალი იქ ვერ შედის. ორჯერ დაწერეს ტრესტში ბრძანება ახალი საშახტო ლიანდაგის გაყვანის შესახებ, მაგრამ შედეგი არც ერთ ბრძანებას არ მოჰყოლია. ეს იმიტომ, რომ ტრესტმა თავის ბრძანების შესრულებისათვის არ შექმნა სათანადო მატერიალური ბაზა, არ მომარაგა შახტი ეგრეთ წოდებული 24-კილოგრამიანი საშახტო რელსებით.

შახტის მეორე ველში მოქმედი ორი ლავა მიუახლოვდა ზედაპირულ წყლებს, რომლებმაც შეუძლებელი გახადეს მუშაობის განგრძობა. ამასთან წყალი ხელს უშლის მზადების პროცესში მყოფი მეოთხე მძლავრი ველის საექსპლოატაციოდ გადაცემას. საჭიროა კაპიტალური სამუშაოების შესრულება. ამის შესახებ დიდი ხანია იყო საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მითითებაც, შეადგინეს პროექტებიც, მაგრამ არსებითად ჯერ, მიუხედავად საკმაო დროის გასვლისა, არაფერია გაკეთებული.

ლენინის სახელობის შახტის მეორე უბნის უფროსი ამხ. კობეშავიძე უპასუხისმგებლობას იჩენს თავისი მოვალეობის შესრულებაში, მაგრამ ეს შახტისა და ტრესტის ხელმძღვანელებს ნაკლებად აღონებს. ეს უბანი ყოველდღიურად ათეულ ტონობით ქვანახშირს აკლებს სამშობლოს.

ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ სტალინის სახელობის შახტის მეექვსე ველის გამომუშავება შეუძლებელია ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის აუთვისებლად. მაგრამ ამისათვის საჭიროა შახტი მოამარაგონ მაღალი წნევის ტუმბოებით, ურომლისოდაც შეუძლებელია ჰიდრავლიკური ვსების უბნის გამართული მუშაობა. ტუმბოების მომარაგებისთვის კი თავს არავინ იწუხებს. ტრესტმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო დაეკომპლექტებინა ეს უბანი კვალიფიციური კადრებით. ამჟამად სისტემატურ ვსებას ხელს უშლის წყლის დებიტის სიმცირე, ხოლო შაორიდან ტექნიკური წყლის მიღების დათქმული ვადები რამდენჯერმე ჩაიშალა.

ტყიბულის შახტების ჩამორჩენის მიზეზი უნდა ვეძიოთ აგრეთვე იმაში, რომ ტრესტისა და კომბინატის ხელმძღვანელები ნაკლებად შედიან შახტებში, ადგილზე არ ეცნობიან ფაქტიურ მდგომარეობას და არ უწევენ კონკრეტულ დახმარებას შახტში მომუშავეებს. ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ კაბინეტიდან ბრძანებების გაცემით.

ივნისის პირველი ორი დეკადის განმავლობაში, როცა ტყიბულის შახტები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ და სამშობლოს მრავალი ტონა ქვანახშირი დააკლეს, არც ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველმა ამხ. ა. ვარდიშვილმა და არც მთავარმა ინჟინერმა ვ. გოცირიძემ საჭიროდ არ ცნეს ერთხელ მაინც შესულიყვნენ რომელიმე შახტში და დახმარება გაეწიათ შახტის ხელმძღვანელებისათვის. მაისში საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მთავარი ინჟინერი ნ. ტყემალაძე მოავლინეს ტყიბულქვანახშირის ტრესტში ჩამორჩენის გამოსასწორებლად, მაგრამ მის ჩამოსვლას ჯერჯერობით ფაქტიურად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ცუდად მუშაობს ტყიბულ ქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებაც (უფროსი კ. ჩხარტიშვილი).

ყოველივე ეს იწვევს ქვანახშირის მოპოვებაში ჩამორჩენას.

ვ. ცირეკიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

420.000 კილომეტრი — ვაგონების მოუხსნელად

ასიათასოვანთა მოძრაობის განვითარებითა და მუშაობის ლუნინური მეთოდების დანერგვის შედეგად შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სამგზავრო სამსახურის თბილისის რეზერვის გამცილებელთა კოლექტივმა. ვაგონების ლუნინურად მოვლა-პატრონობის მიზნით გამცილებელთა დიდმა რაოდენობამ შეისწავლა მეორე პროფესია — სახარატო, საზეინკლო, სადურგლო, სამღებრო საქმე. ამ პროფესიათა შესწავლამ გამცილებელთა ბრიგადებს შესაძლებლობა მისცა ვაგონები შეაკეთონ მატარებლის შემადგენლობიდან მოუხსნელად. მაგალითად, თბილისი-ერევნის სამგზავრო მატარებლის უფროსის დ. ერისთავის ბრიგადამ, რომლის შთაბეჭდილებათა წიგნში კარგი მომსახურებისათვის მგზავრთა 300 მადლობაა ჩაწერილი, სამგზავრო შემადგენლობიდან ვაგონების მოუხსნელად დღემდე გაირბინა 172.000 კილომეტრი.

რეზერვის გამცილებელთა კოლექტივი ამჟამად ჩაბმულია რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. აქ 150 გამცილებელი ეუფლება მეორე პროფესიას, რომ გამცილებელთა ახალი ბრიგადები ასიათასოვანთა რიგებში ჩადგნენ. ამ დღეებში ერთ ახალ სამგზავრო შემადგენლობას გადაიყვანენ სამეურნეო ანგარიშზე და მისი ორი ბრიგადა ჩადგება ვაგონების მოუხსნელად ასეულ ათასობით კილომეტრის გარბენისათვის მებრძოლთა რიგებში.

ასიათასოვანთა ბრიგადები ადიდებენ თავიანთ ვალდებულებებს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული დ. ერისთავის ბრიგადა, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის გზის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო, და მატარებლის უფროს ს. სტეპანიანის გამცილებელთა ბრიგადა ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური შეკეთების ჩაუტარებლად სამი წელი ატარონ სამგზავრო მატარებელი და ვაგონის მოუხსნელად გაირბინონ 420.000 კილომეტრი. ამ ვალდებულების შესრულებით ეს ბრიგადები გასწევენ 130 ათას მანეთ ეკონომიას.

თბილისი-სოხუმის სამგზავრო მატარებლის უფროსების ლ. მელიას და ა. მინდიაშვილის გამცილებელთა ბრიგადებმა პირობა დადეს წლიური შეკეთების გაუვლელად 1951 წლის მაისამდე ატარონ სამგზავრო შემადგენლობა, რომელსაც წელს აპრილში გაუკეთდა საშუალო შეკეთება, და ამ შემადგენლობით ვაგონების მოუხსნელად გაირბინონ 320.000 კილომეტრი, რითაც სახელმწიფოს მისცემენ 96.000 მანეთ ეკონომიას.

მატარებლების უფროსების ნ. კეკელიას (თბილისი-ბათუმი) და გ. ჯავახაძის (თბილისი-ქუთაისი) გამცილებელთა ბრიგადებმა გადაწყვიტეს დაეუფლონ ელექტრომონტიორის პროფესიას და ამით წლიურად სახელმწიფოს მისცენ მრავალი ათასი მანეთი ეკონომია. ამ მიზნით ამ ბრიგადების 2-2 გამცილებელმა უკვე შეისწავლა ელექტრომონტიორობა.

ქუთაის-თბილისის სამგზავრო მატარებელზე ა. მინასაშვილის, გ. ნადირაშვილის და გ. ჯავახაძის გამცილებელთა ბრიგადებმა სავაგონო დეპოში ჩაუყენებლად თავიანთი ძალებით გამაჯანსაღებელი რემონტი გაუკეთეს სამგზავრო შემადგენლობას, ხოლო ივლისში განზრახული აქვთ შეღებონ მთელი შემადგენლობა.

თბილისის რეზერვის გამცილებელთა კოლექტივში რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავად გაჩაღებული შეჯიბრების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესება.

ე. აროშიძე

მოწინავე რკინიგზელები

ფოთი. (საკ. კორ.). რკინიგზელის სტალინური დღისათვის ენერგიულად ემზადებიან ფოთის რკინიგზელები. მოძრაობის დარგის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება თბილისის სატვირთო სადგურთან. ფოთელებმა იკისრეს ვაგონების მიმოქცევის გეგმა რკინიგზელის დღის—7 აგვისტოსათვის შეასრულონ საგრძნობი გადაჭარბებით, ვაგონების მოცდენის დრო შეამცირონ 1 საათით, მიაღწიონ სატვირთო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებას.

გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდა გ. ცანავას ცვლა, რომელიც დღიურ დავალებებს 130 პროცენტით ასრულებს. საუკეთესოდ მუშაობენ ვაგონების შემდგენლები და გადამბმელები ა. მიქელაძე, ი. გაბელაია, ბ. გვალია, შ. ხუხია, ვ. სალაყაია და სხვები. ისინი დავალებებს 140-145 პროცენტით ანაღდებენ.

შრომის მოწესრიგებისა და ენერგიული მუშაობის შედეგად სერიოზული წარმატებებით დაამთავრა ორი კვარტალი ფოთის საორთქლმავლო დეპომ. გარდა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, დაზოგილია 16,2 ტონა საწვავი, ორთქლმავალთა გარბენა გაზრდილია მარტო მაისში 300 კილომეტრით. რკინიგზელის დღისათვის დეპოს კოლექტივის ვალდებულებაა — 110 პროცენტით შეასრულოს ორთქლმავალთა გარბენის გეგმა და სამი პროცენტით შეამციროს საწვავის ხარჯვა.

რკინიგზელის სტალინური დღისათვის სერიოზული წარმატებების მოპოვება იკისრეს მოწინავე მემანქანეებმა ბ. ჩიხლაძემ, დ. ბოკუჩავამ, ი. რამინაშვილმა, მემანქანის თანაშემწეებმა შ. ახობაძემ, ს. ჩიქოვანმა, ო. ბაქრაძემ.

მძიმდებიან თავთავები

მწიფდება უხვი მოსავალი. სოფელი მალე მოისმენს კალოსპირულს. გაილეწება პირველი კალოები. კოლმეურნეები კვლავ გაუძღვებიან ახალი ხორბლით დატვირთულ ქარავანს სახელმწიფო ბეღლებისაკენ. ხორბლით აივსება კოლმეურნეობათა ბეღლებიც.

— პური! — ამ დიდ სიმდიდრეზე ფიქრობდა მთელი დღის შრომაგადახდილი ბრიგადირი ანტონ ქრისტესიაშვილი, რომ გარედან ხმა შემოესმა. იცნო კოლმეურნეობის ფოსტალიონი. იგი ის-ის იყო დაბრუნებულიყო სტალინირიდან და პარტიული ორგანიზაციის მდივნის ილია ბორცვაძის დავალებით, დილას აღარ დალოდებია, მოსვლისთანავე არიგებდა გაზეთებს.

გაზეთებში გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“.

ინტერესით კითხულობდა ბრიგადირი ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. მის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდებოდა წაკითხული. გაქრა დაღლილობა. იგი კოლმეურნეობის კანტორისაკენ წავიდა. იქ, თითქმის უკლებლივ შეკრებილიყო კოლმეურნეობის აქტივი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იასონ ქრისტესიაშვილი, რომელმაც შარშან ნაყოფიერი და დაუღალავი მუშაობისათვის მთავრობის ჯილდოები ლენინის ორდენი და მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო, ესაუბრებოდა ბრიგადირებს მოსავლის აღების საკითხებზე.

მეორე დღეს დილით ჩვეულებრივზე ადრე შეიკრიბნენ კოლმეურნეები. მათ ბრიგადირი მინდვრებისაკენ წაუძღვა, სადაც მთელი დღე იმ გზების შეკეთებაზე მუშაობდნენ, რომლებითაც პური უნდა გადმოზიდონ.

კოლმეურნეობის აგრონომმა ტ. ცაგარეიშვილმა კოლმეურნეობის სხვა მოწინავეებთან ერთად დაკვირვებით შეამოწმა ყანები, მოფიქრებულად განსაზღვრა, თუ რომელ ნაკვეთში უნდა დაიწყოს მკა.

ნიკოლოზ და ალექსი ქრისტესიაშვილები ხელს აღარ უშვებენ ხერხს და შალაშინს, არემონტებენ ურმებს, აკეთებენ ცელის ტარებს და მოსავლის აღებისათვის საჭირო სხვა იარაღებს.

კოლმეურნეობის სამჭედლოდან განუწყვეტლივ ისმის გრდემლზე ჩაქუჩის დარტყმის ხმა. მკლავღონიერ მჭედელს დავით ბერუაშვილს შუბლიდან ოფლი ჩამოსდის. იცის დავითმა, რომ მისი ღონივრად მოქნეული მკლავი მოსავლის მოკლე ვადებში აღებას ემსახურება. ამიტომ არ გრძნობს დაღლას, ამიტომ ტყუილუბრალოდ ერთი წუთის გაცდენასაც ვერ ურიგდება.

კოლმეურნეობას მოსავლის აღებაში დაეხმარება ქსუისის მტს-ი. მოსავლის ლეწვა რომ უფრო სწრაფად მოეწყოს, კევრებსაც მართავენ ერედველები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას! — კარგად ახსოვს თავმჯდომარის ეს სიტყვები საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ა. ბესტაევს. ამ მეტად საჭირო სამუშაოს ძირითადად სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობა შეასრულებს. კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს უბის წიგნაკში ჩაწერილი აქვს ორმოცზე მეტი იმ მოსწავლის გვარი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს აქტიური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობას მოსავლის აღებაში.

მოწინავე აგიტატორები ნინო და ბაბული ბაციკაძეები აქტიურად ეხმარებიან კოლმეურნეებს, ესაუბრებიან მათ კონკრეტულ ამოცანებზე, პურეულის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

— თუ საჭირო იქნება, ჩვენც შემოვიქნევთ ცელს ყანაში, მთელი წლის ნაამაგარიდან ერთ თავთავსაც არ დავკარგავთ, — განაცხადა სტახანოველმა თამარ ცოტნიაშვილმა.

ასორმოცდაცხრამეტი ჰექტარი პური და ოცდაჩვიდმეტი ჰექტარი ქერი მწიფდება ამ კოლმეურნეობაში. მძიმდებიან თავთავები. ბეღლები ელოდებიან ახალ ხორბალს. ერედველი კოლმეურნეები მომზადებული ხვდებიან მკას.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბამბას კარგად უვლიან

ბოლნისი. (სპეც. კორ.). 145 ჰექტარი ბამბა უთესია სოფელ არუხლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმს“. კოლმეურნეობის ვალდებულებაა თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,5 ცენტნერისა მოიყვანოს 20 ცენტნერი ბამბა.

კოლმეურნეები კარგად მუშაობენ. მათ უკვე დაამთავრეს ბამბის მეორე თოხნა, მიმდინარეობს მესამე თოხნა, შეაქვთ ნიადაგში სასუქიც.

დაწინაურდა მერვე ბრიგადა (ხელმძღვანელი მამედ თამროღლი), რომელსაც მიჩენილი აქვს 25 ჰექტარი ბამბის ნათესი. ბრიგადამ კარგად მოაწყო შრომა. იგი მესამე თოხნას ამთავრებს.

ბეჯითად მუშაობენ სოფელ დაშტიკულიარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ წელს 14 ჰექტარზე პირველად დათესეს ბამბა. მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების გაზიარებისა და აგროწესების დაცვის შედეგად აქ, ბამბის დიდ მოსავალს მოიყვანენ. ბამბა სამჯერ გათოხნეს, ორჯერ კულტივაცია ჩაატარეს, ყოველ ჰექტარზე შეიტანეს 150 კილოგრამი აზოტოვანი სასუქი. განზრახული აქვთ პლანტაცია მეოთხეჯერ გათოხნონ და თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 24 ცენტნერი ბამბა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა.

კულტურული მომსახურება მაღალმთიან შორეულ სოფლებს

გუდაუთის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობასთან დაკავშირებით კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების მიზნით გაჩაღებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, უჩვენებენ კინოსურათებს, აწყობენ ლექცია-მოხსენებებს, მართავენ საღამო-კონცერტებს.

მიმდინარე წლის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა რაიონის კინოთეატრმა. კინოთეატრის მუშაკები სისტემატურად გადიან სოფლად და საკოლმეურნეო კლუბებსა და მინდვრად კოლმეურნეთა მუშაობის ადგილას უჩვენებენ სურათებს.

რაიონის ისეთ შორეულ და მაღალმთიან სოფლებში, როგორიცაა ხოპი, აჩანდარა, ფგარაკი, ჯირხვა, მცარი და სხვა, ხშირად უჩვენებენ კინოსურათებს. ამას წინათ სოფელ ხოპში აჩვენეს მხატვრული ფილმი „მიჩურინი“. სურათმა, რომელიც ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის ცხოვრებას ასახავს, მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გუდაუთის რაიონის კინოთეატრმა მიმდინარე წელს სოფლად გაგზავნა 30-მდე სახელწოდების სხვადასხვა კინოსურათი და გამართა 200-მდე სეანსი. (საკ. კორ.).

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

„ექსტერნატი სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსებისათვის“.

ასეთი სათაურით ბეჭდავს ინფორმაციას გურჯაანის რაიონული გაზეთი „მევენახე“, რომელშიც ნათქვამია:

„1949-1950 სასწავლო წლიდან სოფელ ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის მისაღებად ექსტერნატი სოფლის მეურნეობაში მომუშავე პრაქტიკოსებისათვის. ექსტერნატს პედაგოგიური პერსონალით, სასწავლო ლიტერატურით და სხვა დამხმარე მასალებით მოემსახურება ტექნიკუმი“.

კიეველი სტუდენტები გორში

უამრავ მნახველს იზიდავს ქალაქ გორში ის სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა. გორის რაიონული გაზეთი „სტალინელი“ თავის 21 ივნისის ნომერში წერს:

„19 ივნისს, დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი და გორის ისტორიული ადგილები დაათვალიერა უკრაინის სსრ დედაქალაქ კიევიდან ჩამოსულმა სტუდენტთა ჯგუფმა.

კიეველი სტუმრები ეწვივნენ აგრეთვე გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს“.

„ხულოჰესის“ მშენებლობა

ხულო. (სპეც. კორ.). რაიონის ცენტრში ამჟამად არსებული ელექტროსადგური ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. გადაწყდა 1949 წელს ააგონ 300-ცხენისძალიანი ელექტროსადგური „ხულოჰესი“. ელექტროსადგური, რომლის მშენებლობა წელს დაიწყო, საექსპლოატაციოდ გადაეცემა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისათვის.

„ხულოჰესი“ რაიონის ცენტრის გარდა მომსახურებას გაუწევს სოფელ თაგოს კოლმეურნეობა „შრომის წყაროს“, დიდაჭარის მესამე ინტერნაციონალის, ოქრუაშვილების ბაქრაძის, დიაკონიძეების კოლექტივიზაციის, დეკანაშვილების XVIII პარტყრილობისა და ქედლების კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებს. აღნიშნულ კოლმეურნეობათა წევრები მონდომებით მუშაობენ ელექტროსადგურის მშენებლობაზე.

რაიონში მიმდინარეობს აგრეთვე ელექტროსადგურის „ღორჯომჰესის“ მშენებლობა. „ღორჯომჰესი“ მოემსახურება აღაძეების, სტეფანიშვილების, მკეიძეებისა და ტუნაძეების კოლმეურნეობებს.

წიგნებით მოძრავი ვაჭრობა

სოხუმი. (საკ. კორ.). „საქწიგნის“ აფხაზეთის განყოფილებამ აფხაზეთის რაიონებისათვის მოაწყო წიგნების სავაჭრო მანქანა-კიოსკი, რომელიც მომსახურებას უწევს ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობას.

მოძრავი კიოსკი მდიდარია პოლიტიკური, მხატვრული და აგრონომიული ლიტერატურით. რამდენიმე დღეში გალის რაიონის კოლმეურნეობებში გაიყიდა 15 ათასამდე მანეთის წიგნი. მოძრავი მანქანა-კიოსკი ამჟამად ვაჭრობს ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში.

სოფლად წიგნით ვაჭრობის გაფართოების მიზნით მიმდინარე წლის მეორე ნახევარში წიგნის საკოლმეურნეო მაღაზიები გაიხსნება გაგრის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

სასოფლო ცენტრის კეთილმოწყობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის რაიონში ყველაზე კეთილმოწყობილია მანდაეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი. აქ არის სასოფლო საბჭოს რვაოთახიანი კაპიტალური შენობა. აქვეა სასოფლო კლუბი, რომელიც 300 კაცს იტევს. კლუბში შექმნილია აგრონომიული, დრამატული და ლიტერატურული წრეები, ხშირად იმართება საუბრები აგროტექნიკურ საკითხებზე, ეწყობა წარმოდგენა - კონცერტები, უჩვენებენ მხატვრულ კინოფილმებს. კლუბთან არსებობს აგრეთვე ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი 1.200-მდე წიგნით განისაზღვრება. მხატვრული, პოლიტიკური და აგრონომიული ლიტერატურით სარგებლობენ კოლმეურნეები, მოსწავლეები.

სასოფლო ცენტრში არის საექიმო პუნქტი. იგი უზრუნველყოფილია სათანადო მედიკამენტებითა და მოწყობილობით. ახალგაზრდა ექიმმა ს. ჩაჩანიძემ კოლმეურნეებში კარგი სახელი და პატივისცემა დაიმსახურა. აქ შორეული სოფლებიდან და სხვა რაიონის სოფლებიდანაც კი მოჰყავთ ავადმყოფები.

სოფლის ცენტრში კოლმეურნეობის კანტორისათვის ააშენეს ორსართულიანი კაპიტალური შენობა. აქვეა სასოფლო მაღაზიაც.

მანდაეთელმა კოლმეურნეებმა ააშენეს აბანო, მოაწყეს საკოლმეურნეო რადიოკვანძი. იგი მომსახურებას უწევს სასოფლო დაწესებულებებს და 30 კოლმეურნეს. რადიორეპროდუქტორების რაოდენობა წელს კიდევ უფრო გაიზრდება.

სოფლის ცენტრში საშუალო სკოლაა, რომელსაც აქვს კარგი ლაბორატორიები და კაბინეტები. კოლმეურნეთა თაოსნობით მოეწყო ბაღი მარადმწვანე მცენარეებით და დაიდგა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მონუმენტი.

მანდაეთელებს კეთილმოწყობილი გზები აქვთ. სასოფლო ცენტრი რაიონს სამი სამანქანო გზით უკავშირდება.

განზრახულია მოკლე ხანში მდინარე დუმალაზე აშენდეს ახალი ელსადგური, რომელიც 600 ოჯახს მოემსახურება. სასოფლო საბჭოს განზრახული აქვს სოფლის ექვს უბანში გაიყვანოს სასმელი წყალი, სამ უბანში — სამანქანო გზები. ყველაფერი ეს კიდევ უფრო კეთილმოწყობილსა და ლამაზს გახდის მანდაეთის სასოფლო საბჭოს.

რუსული ენის შემსწავლელი წრეები საკოლმეურნეო სოფლებში

ლენინგორი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების ინიციატივით სოფელ იკოთში, ზაყორში, წინაგარში, ორჭოსანში, სალბიერში, ცხილონში, აგრეთვე რაიონულ კლუბში შეიქმნა რუსული ენის შემსწავლელი წრეები.

წრის ხელმძღვანელად შერჩეული არიან გამოცდილი პედაგოგები. წრეებში გაერთიანდნენ კოლმეურნეები და სოფლად მომუშავე ინტელიგენტები.

ახალი რადიოკვანძი

ხაშური. (საკ. კორ.). ამ რამდენიმე ხნის წინათ გომის სპირტსახდელ ქარხანაში დაიდგა და მუშაობს რადიოკვანძი.

ქარხანაში რადიოფიცირებულია ყველა საამქრო და მუშათა საცხოვრებელი ბინები.

სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვანი ამოცანაა

სისუფთავის, სანიტარული პირობების დაცვა ქალაქებსა, მუშათა დაბებსა და ყველა დასახლებულ პუნქტში მოსახლეობის კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. ინფექციური დაავადებანი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იქ, სადაც ანტისანიტარია, უსუფთაობა და სიბინძურეა.

ჩვენს რესპუბლიკაში სანიტარული პირობების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა. შესანიშნავი შედეგი გამოიღო შარშან პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მიერ ჩატარებულმა საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სასტუმროებისა და აბანოების საზოგადოებრივმა დათვალიერებამ, რომელშიც ჩაბმულ იქნა მთელი ადგილობრივი აქტივი. დათვალიერებამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ადგილებში სანიტარული პირობების გაუმჯობესებას. ამის შედეგიცაა, რომ საინფექციო დაავადებათა შემთხვევები მკვეთრად შემცირდა, ხოლო მთელ რიგ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ეს დაავადებანი ლიკვიდირებულ იქნა.

წელს ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში სისუფთავის დაცვის უზრუნველსაყოფად და ანტისანიტარული ბუდეების სალიკვიდაციოდ მთელი რიგი ახალი ღონისძიებები ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ ამის შედეგად წელს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე 1948 წელს გვქონდა.

აპრილსა და მაისში საქართველოს ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრში, სამრეწველო უბნებში, რკინიგზის საწარმოებსა და სადგურებზე, საზღვაო გემსადგომებთან ჩატარდა დასუფთავების ერთთვიური. ერთთვიურის ჩატარებაში დახმარების გასაწევად ადგილობრივ სანიტარულ ინსპექციებში რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექციიდან მივავლინეთ 15 მუშაკი. მოსახლეობას განემარტა სანიტარული წესების დაცვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. საამისოდ გამოყენებულ იქნენ ადგილობრივი გაზეთები, რადიო, მოეწყო მრავალი ლექცია-საუბარი და ა. შ.

დიდძალი საუწყებო და სპეციალური ტრანსპორტი, აგრეთვე კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გამოყვანილი საჭაპანო ტრანსპორტი იყო გამოყენებული დანაგროვი მტვრისა და ნაგვის გასაზიდავად. ჩატარდა მუშაობა აგრეთვე დანაგროვი ნაგვის გასაუვნებლებლად ადგილზე. შეკეთდა 1.318 სანაგვე ყუთი, დაიდგა 990 ცალი ახალი ყუთი, მოეწყო კომუნალური წერტების დეზინფექცია, შეკეთდა საწყალსადენე და საკანალიზაციო დანადგარები. ერთთვიურის ჩატარებაში სულ 186.000-ზე მეტმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

მიუხედავად ასეთი დიდი მუშაობისა, უნდა ითქვას, რომ ქალაქებსა, სამრეწველო ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებში ყველგან ჯერ კიდევ არ გვაქვს შექმნილი ისეთი სანიტარული პირობები, როგორიც საჭიროა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ კმარა საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტი. საჭიროა შეივსოს მეეზოვეების, დამგველების, საჭაპანო ტრანსპორტზე მომუშავეების კადრები.

უკვე დადგა დრო ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში ვიქონიოთ თანამედროვე გაუმჯობესებული მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მორწყვა და ა. შ. თბილისშიაც კი ასეთი მექანიზმები არასაკმარისად გვაქვს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

უნდა ითქვას, რომ თბილისში, მით უფრო სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, არ კმარა საზოგადოებრივი რეტირადების ქსელი, ხოლო არსებული რეტირადების მოვლა-პატრონობა ვერაა კარგად დაყენებული. აუცილებლად საჭიროა გავაფართოოთ რეტირადების ქსელი, შევიმუშაოთ მათი ისეთი დისლოკაცია, რომ ანტისანიტარული კერების თავისთავად წარმოქმნას აღარ ექნეს ადგილი.

სისუფთავის დაცვა ნიშნავს სახალხო ჯანმრთელობისათვის ზრუნვას, დაავადებათა შემცირებასა და სრულ ლიკვიდაციას, ხალხის კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლებას. სწორედ ამიტომ ჩვენი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, ყველა სხვა დასახლებული პუნქტების ხელმძღვანელი საბჭოთა ორგანოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სისუფთავის დაცვისათვის ზრუნვა. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ინსპექციასთან ერთად შეიმუშავა ჩვენი ქალაქების რეგულარულად დასუფთავების გეგმა. ამ გეგმის შესრულება ჩვენი საქალაქო მეურნეობის მუშაკთა მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ი. ფრანგულიანი
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორი

ჩვენ გვწერენ

მოვაწესრიგოთ ავტომანქანების მოძრაობა

ომამდე ძირულა-სურამის მიმართულებით მუშაობდნენ „სოიუზტრანსის“ ავტომანქანები, დაჰქონდათ ფოსტა, გადაჰყავდათ მგზავრები.

ამჟამად ორჯონიკიძის რაიონის მაქათუბნის, ღორეშის, ბორითის, ხუნევისა და ხევის სოფლებში უტრანსპორტობის გამო რესპუბლიკურ ჟურნალ გაზეთებს 10-15 დღის დაგვიანებით იღებენ.

საჭიროა „სოიუზტრანსის“ ავტომანქანებმა აღნიშნული მიმართულებითაც იმოძრაონ.

ს. მუმლაძე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე

ჩვენს წინაშე დევს განიერი ფორმატის წიგნი, ქართული ორნამენტით შემკული და ლამაზად გამოცემული საქართველოში ინგლისურ ენაზე: „ქართული პოეზიის ანთოლოგია, თარგმნილი ვენერა ურუშაძის მიერ“. ეს წიგნი თავისი ლაკონიური პოეტური ენით მეტყველებს ქართული პოეზიის განვლილ გზებზე და მისი უკვდავი ნიმუშების სილამაზეზე. იგი პირველი სრულფასოვანი პოეტური ნაშრომია ქართველის მიერ უცხო ენაზე შესრულებული ქართული პოეზიის მრავალფეროვნებისა და მაღალი პოეტური ხარისხის გასაცნობად უცხოეთის ფართო მასებისა და პროგრესული ადამიანებისთვის.

ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შეტანილ ლექსებს თან სდევს სპეციფიკური ქართული სურნელი, რომლითაც უცხოელი იგრძნობს მისთვის აქამდე უცნობს სრულიად ახალ, მაგრამ წარმტაც და მიმზიდველ ქვეყანას. რაც უნდა ტენდენციური იყოს უცხოელი, რაოდენიც უნდა მონახოს ამ წიგნის ნაკლი, ის მაინც იგრძნობს ანთოლოგიის გაცნობისას ქართული პოეზიის სიდიადეს. ამიტომაც დიდია ღვაწლი მთარგმნელის ვენერა ურუშაძისა. სერიოზული მუშაობა გაუწევია აგრეთვე წიგნის რედაქტორს მიხეილ ქვესელავას.

ქართული პოეზიის ნიმუშები ინგლისურ ენაზე პირველად მარჯერი უორდროპმა თარგმნა. იგი დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და სწავლობდა ქართულ ენას. მან ქართველ მოღვაწეებთან, კერძოდ ილია ჭავჭავაძესთან ახლო კავშირი დაამყარა. უორდროპმა თარგმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული ნაწარმოები, რომლებიც გამოცემულ იქნა ლონდონში 1894 და 1912 წლებს შუა, მათ შორის „ქართული არაკები“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და ხალხური „ქართული ზღაპრები“, რომლებმაც დიდი გამოხმაურება პოვეს მაშინდელ ინგლისელ და ამერიკელ მკითხველთა შორის. მარჯერი უორდროპის უდიდესი საქმე იყო „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი, შესრულებული სუფთა ლიტერატურული ინგლისური ენით. ეს უკანასკნელი გამოვიდა 1912 წელს, მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ (იგი გარდაიცვალა 1909 წელს).

ეს იყო ერთადერთი ტრადიცია, რომელიც ჰქონდა ვ. ურუშაძის მიერ წამოწყებულ საქმეს. როგორც თვითონვე წერს ანთოლოგიის წინასიტყვაობაში, მთარგმნელს არა აქვს პრეტენზია უწოდოს თავის ანთოლოგიას სრული. რა თქმა უნდა, ოთხი ათასამდე სტრიქონი, რომელიც მოთავსებულია ამ წიგნში, ვერ გამოხატავს სრულად — ვერც თვისობრივად და ვერც რაოდენობით — მრავალფეროვან და მდიდარ ქართულ პოეზიას. მაგრამ მასში შერჩეული დამახასიათებელი ლექსების ფართო ციკლი მაინც ერთგვარ წარმოდგენას მისცემს უცხოელ მკითხველს ქართული პოეზიის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების შესახებ. აქ თავმოყრილი ლექსების თითქმის ყოველი ორიგინალი წარმოადგენს ქართული პოეზიის შედევრს.

ანთოლოგია იხსნება შემდეგი ნაწყვეტებით „ვეფხისტყაოსნიდან“: „ანდერძი ავთანდილისა“, „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ და „წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარლისა წინაშე მიწერილი“. მაღალი და დაბალი შაირის ეკვივალენტური მეტრი, შესაბამისი სახეებისა და რითმების სისტემა, ფართო ეპიკური თხრობის მანერა — ყოველივე ეს გადმოცემულია თარგმანში და ძალაუნებურად მკითხველში იწვევს სურვილს: გადაითარგმნოს რუსთაველის მთელი პოემა ასეთივე გზით. ყოველი მხატვრული ნაწარმოები განუმეორებელია თავისი უნიკალობით. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის „ვეფხისტყაოსანზე“. თუ კი მთარგმნელს სადმე მოეთხოვება მთელი არსებით ჩასწვდეს ორიგინალის სულს, ეს, უპირველეს ყოვლისა, აქ მოეთხოვება მას. ვ. ურუშაძის თარგმანს შეუნარჩუნებია შინაარსის სიზუსტე, მას გადმოცემული აქვს რუსთაველის სტრიქონებში აფორიზმების სახით ჩალაგებული სიბრძნე და თვით ალიტერაციაც კი გამოუყენებია. ძველი ანგლო-საქსური ტრადიციული ალიტერირებული ლექსის თვისება აქ ბუნებრივად მოხმარებია მთარგმნელს.

რუსთაველს მიჰყვება თეიმურაზ I, რომელიც ადიდებს თამარ დედოფლის სურათს დავით გარეჯელის სავანეში. შემდეგ დაბეჭდილია ნაწყვეტი იოსებ თბილელის „დიდმოურავიანიდან“, პირობითად თარგმნილი თეთრი ლექსით, დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“, ბესიკის „ტანო ტატანო“ და „შავნი შვენი“ (ეს უკანასკნელიც პირობითი თეთრი ლექსითაა თარგმნილი, რითაც იგი არაფერს კარგავს პოეტურობის მხრივ). ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსს მოსდევს გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ“). კონტრასტი გრ. ორბელიანის ამ ორ ლექსს შორის: ერთი მხრივ ზეშთაგონებული სიყვარული სამშობლოსადმი, რომელიც თამარის სახეშია განხორციელებული, მეორე მხრივ ქალისადმი ტრფიალით მთვრალი ძველი ტფილისელის გრძნობა, ბრწყინვალედაა გადმოცემული ინგლისურად.

ნიკოლოზ ბარათაშვილი საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი თავისი ლექსებით: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრი მტკვრის პირად“, „ჩონგურს“, „საყურე“, „სული ობოლი“, „მერანი“, „სულო ბოროტო“, „ჩინარი“, „ცისა ფერს“. ძნელია იმის გადაწყვეტა, რომელი უფრო უკეთაა შესრულებული დიდი ქართველი რომანტიკოსის ამ ლექსებიდან. ყოველ შემთხვევაში ყველა ძლიერია და დამახასიათებელი ინტონაცია ყველგან შენარჩუნებულია. „მერანის“ თარგმანი ყურადღებას იქცევს თავისი ექსპრესიულობით, დაძაბული რიტმით და ვაჟკაცური ტონით. ბარათაშვილის ლექსების თარგმანი საკმაოდ სრულ წარმოდგენას მისცემს უცხოელს ბარათაშვილის პოეზიის სიღრმისა და ხასიათის შესახებ.

შემდეგ მოდის ვახტანგ ორბელიანის „კახეთს“ და „დმანისი“ და ილია ჭავჭავაძის „ქართლის დედას“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „ბაზალეთის ტბა“ და „განდეგილი“ (მარჯერი უორდროპის მიერ თარგმნილი). ილიას პატარა ლექსი „გაზაფხული“ შესანიშნავადაა თარგმნილი: ზუსტად, ლამაზად და ლაკონიურად. აკაკი წერეთელი წარმოდგენილია ლექსებით „სალამური“, „გაზაფხული“, „განთიადი“, „სულიკო“, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“ (პოემიდან „თორნიკე ერისთავი“), „ნათელას სიმღერა“ და პოემით „გამზრდელი“. რაფ. ერისთავი წარმოდგენილია ლექსებით — „სამშობლო ხევსურისა“ და „სესიას ფიქრები“.

ვაჟა-ფშაველას ლექსების თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ანთოლოგიაში. ჩვენ ვფიქრობთ, ეს ფაქტი, ისევე როგორც სხვა შემთხვევები ხალხური პოეზიის ნახევრად-ეპიკური ფორმების თარგმნისა, მთარგმნელის შემოქმედებითი ბუნების გარკვეულ თავისებურებაზე მეტყველებს: აქ მოჩანს მთარგმნელის აშკარა ობიექტურ-ეპიკური პოეტური მეტყველების უნარი. ვ. ურუშაძის თარგმანი თითქმის ყოველთვის იცავს ორიგინალის ეპიკურობას, მის მკაცრ, ვაჟკაცურ და გამართულ ტონს. ვაჟა-ფშაველას ლექსების თარგმანებიდან განსაკუთრებით კარგია „სიმღერა“ („გამოღმით მე ვარ, გაღმა — შენ, შუაში მოდის მდინარე“), „არწივი“ და „მწყემსი ქალი“. ისინი ნამდვილად წააგავან ორიგინალურ ინგლისურ ლექსებს და მხოლოდ რითმის დამახასიათებელი განმეორება არის მათი წარმოშობის „გამცემი“. კარგია აგრეთვე დანარჩენი ლექსებიც: „ნადიმი“, „ეული სიტყვა“, „სასოწარკვეთილება“, „სიმღერა“, „ელეგია“, „ხმლის ჩივილი“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და მოზრდილი ნაწყვეტები პოემიდან „გველის მჭამელი“.

შემდეგ ანთოლოგიაში იწყება საბჭოთა პერიოდის პოეზია. აქ არიან წარმოდგენილი ა. აბაშელი („სიბრძნის ჩირაღდანი“, „გაზაფხული“), გ. აბაშიძე („დროშები“, ოსტატურად თარგმნილი), ი. აბაშიძის ცნობილი ლექსები „კაპიტანი ბუხაიძე“ და „არ დაივიწყო“, შ. აფხაიძე („ფიცი“), ვ. გაბესკირია („ძმები ხერხეულიძენი“ და „მონადირე“, თეთრი, მეტად მოხერხებული ლექსით თარგმნილი), ვ. გაფრინდაშვილი („ზღვა“), დ. გაჩეჩილაძე („ძახილი უკვდავებისა“), რ. გვეტაძე („შალამბერიძეს“), ი. გრიშაშვილი („დავბერდი? არა!“, „სინათლე“), ს. ეული („გაზაფხულიდან გაზაფხულამდე“), კ. კალაძე („ცაცხვის ყვავილები“), გ. ლეონიძე („ნინო ჭავჭავაძეს“ და „ვუმღერ სამშობლოს“), ა. მირცხულავა („საქართველო“ და „აკვანი“), ი. მოსაშვილი („ღამე ტყეში“), მაყვალა მრევლიშვილი („აბრეშუმი“), კ. ნადირაძე („სტალინი“), გ. ტაბიძე („მთაწმინდის მთვარე“, შესანიშნავად თარგმნილი თავისი მეტრით და აღმავალი ხმოვანებით, და „დროშები ჩქარა“), გ. ქუჩიშვილი (ცნობილი ბალადით „ჯვარის მონასტერი“), ს. შანშიაშვილი („კახეთის დედოფალი“), ს. ჩიქოვანი („გორი“ და „ვინა სთქვა“), კ. ჭიჭინაძე („საქართველოში ციხეა ორი“). რა თქმა უნდა, როგორც ვხედავთ, საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზიის მრავალი სხვა ბრწყინვალე ნიმუში არ შესულა ამ ანთოლოგიაში, მაგრამ ჯერჯერობით ესეც კმარა, მით უმეტეს, რომ ამ ლექსებით დახასიათებულია არა მარტო თვით პერიოდი, არამედ, ყოველი ცალკეული პოეტის ინდივიდუალური შემოქმედებითი სახე.

ანთოლოგია თავდება ამირანის სანახევროდ გალექსილი ზღაპრით და ლექსით „მოყმისა და ვეფხის“ შესახებ. ქართული ფოლკლორის ეს ორი ბრწყინვალე ნიმუში ანთოლოგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებით „მოყმისა და ვეფხის“ ლექსი — მძლავრი, ნათელი და დრამატულად დაძაბული.

ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე საუკეთესო საჩუქარია მათთვის, ვისაც საშუალება არა აქვს ორიგინალში გაეცნოს ჩვენს მდიდარ და მრავალფეროვან პოეზიას. ეს ანთოლოგია ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა ეპოქის ქართველი ხალხის დიდ შესაძლებლობებს, მისი ლიტერატურის აყვავებას. იგი აწოდებს უცხოელ მკითხველს ჯანსაღი და ვაჟკაცური, მგზნებარე და დარბაისელი, ლირიკულად მახვილი და ეპიკურად მშვიდი ქართული პოეზიის ნიმუშებს. თანამედროვე ბურჟუაზიული პოეზიის დეგრადაციისა და დაცემულობის ფონზე, ავადმყოფური ჰალუცინაციებით და მისტიკით გაჟღენთილი, ცინიკური და უზნეო ლიტერატურის ფონზე ეს ჯანსაღი პოეზიის ნაკადი დასავლეთის მკითხველისათვის უეჭველად ახალი სამყაროს აღმოჩენა იქნება.

დოცენტი გივი გაჩეჩილაძე
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე

გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესი

მილანი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესი. კონგრესის მონაწილე ყველა ქვეყნის ალმებით მორთული სახალხო შენობის წინ მილანის მოსახლეობა მიესალმა ხუთი კონტინენტის მშრომელთა დელეგატებს, რომლებიც კონგრესზე მოვიდნენ.

სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირთა მრავალი ასეული დელეგატი და წარმომადგენელი, სტუმრები და კორესპონდენტები შეიკრიბნენ ვრცელ დარბაზში, რომელიც მორთულია ალმებითა და კონგრესის ოთხ ოფიციალურ ენაზე (რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე) დაწერილი ლოზუნგებით — „გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო ერთიანობას!", „გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე ხანგრძლივ მშვიდობას!". კონგრესი გახსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა, რომელმაც შესავალი სიტყვა მისცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დროებით თავმჯდომარესა და იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივანს დი ვიტორიოს.

მქუხარე ტაშის გრიალში დი ვიტორიომ განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელმაც ისტორიაში პირველად გააერთიანა სხვადასხვა ქვეყნის, რასის, სარწმუნოებისა და პოლიტიკური რწმენის მშრომელთა ესოდენ ფართო მასა ერთიან ორგანიზაციად თავისუფლებისა და მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის სოლიდარობისათვის, მსოფლიოს დაყოფის, მშრომელთა ერთიანობის გათიშვისა და ომის მომზადების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ ბრძოლის თავისი ამოცანების ერთგული დარჩება.

კონგრესის პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, რომელშიც შევიდნენ კუზნეცოვი—სსრ კავშირიდან, ლე ლიაპი—საფრანგეთიდან, ლომბარდო ტოლედანო—ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, დი ვიტორიო—იტალიიდან, აგრეთვე აფრიკის ქვეყნების, ინდოეთის, ჰოლანდიის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენელნი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის დამფუძნებელ ყრილობაზე

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). 27 ივნისს კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

ხო ხონის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოსულმა სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის კიმ ნამ დუმ (სამხრეთ კორეის შრომის პარტია), ხონ გი მუნმა (დემოკრატიული დამოუკიდებელი პარტია), ხონ გიუ დიუმ (ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული პარტია), კიმ დენ დიუმ (ჩენუდანის პარტია) და სხვებმა, მოიწონეს მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადება ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის შექმნის შესახებ.

დელეგატმა ტიან სუნ მენმა ჩრდილოეთ კორეის შრომის პარტიის სახელით წინადადება შეიტანა კორეის მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევის მიზნით ჩატარდეს საკანონმდებლო ორგანოს საყოველთაო არჩევნები, რისთვისაც საჭიროა სამხრეთ კორეაში წინასწარ შეიქმნას თავისუფალი ატმოსფერო. ყრილობის დელეგატები ამ წინადადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ გამოვიდა ხე დენ მირი (ჩრდილოეთ კორეის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირი), რომელმაც წინადადება შეიტანა მიეღოთ ტიან სუნ მენის წინადადება როგორც საფუძველი ყრილობის გადაწყვეტილებებისა, რომელთა მოსამზადებლადაც შექმნილიყო კომისია კიმ ირ სენის, კიმ დუ ბონის, ხო მენ ხის, ხონ გი დიუს, კიმ დარ ხენის, ლი ენის, ცოი გენ დეკისა და სხვათა შემადგენლობით. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

დელეგატმა იუნ ბენ დიუმ განაცხადა, რომ იგი ჩამოვიდა ხვანხეს პროვინციიდან, რომლის მშრომელებიც, მიუხედავად იმისა, რომ ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობის ჯარები ხშირად არღვევენ საზღვარს (38-ე პარალელზე) და ცდილობენ დაანგრიონ ამ პროვინციაში საცხოვრებელი სახლები და საწარმოები, წარმატებით ასრულებენ სახალხო-სამეურნეო გეგმას, იბრძვიან სამშობლოს გაერთიანებისა და მისი დემოკრატიული განვითარებისათვის.

დელეგატები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ სამხრეთ კორეელ მამაც პარტიზან ქალს პაკ პო სინს, რომელმაც წაიკითხა ყრილობისადმი მისასალმებელი წერილი დირისანის მთიანი რაიონის პარტიზანებისა, რომლებიც წარმატებით ანადგურებენ სამშობლოს მოღალატეებს და აღადგენენ სახალხო კომიტეტებს.

საღამოს სხდომაზე, რომელიც კიმ დარ ხენის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, კამათში გამოვიდნენ ბუდისტური სარწმუნოების საზოგადოების წარმომადგენელი 76 წლის მღვდელი კიკ იკ ტუ და სამხრეთიდან ჩამოსული სიტყვის თავისუფლების საზოგადოების წარმომადგენელი ო გი ენი, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, ლი სინ მანის „მთავრობა" ამერიკელთა ხიშტების შემწეობით როგორ თელავს ხალხის უფლებებს. „ლი სინ მანის ხელისუფლებმა,—განაცხადა ო გი ენმა,—ერთ-ერთი გაზეთი მხოლოდ იმისათვის დახურეს, რომ მის სახელწოდებაში იყო სიტყვა „გაერთიანებული". კორეელი ხალხის ამ მტრებს აი როგორ ეშინიათ ჩვენი სამშობლოს გაერთიანებისა".

გლეხმა კან ჩი თხიამ, მწერალმა ლი თხიადიუნმა, სამხრეთ კორეელმა მუშამ პოკ ბონ სუმ და სხვებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის შექმნის შესახებ და ჩრდილოეთ კორეის შრომის პარტიის წინადადებას საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესახებ.

ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა და განიხილა რა ხო ხონის მოხსენება საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობისა და ჩვენი ამოცანების შესახებ, ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა ადგენს: 1. მოწონებულ იქნას პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივა ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის შექმნის საქმეში. 2. შეიქმნას ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტი ამ ყრილობაზე წარმოდგენილი პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისუფალი გაერთიანების საფუძველზე იმ მიზნით, რომ კოორდინირებულ იქნას მოქმედება ჩვენი სამშობლოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის ბრძოლაში. 3. ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის არჩეულ იქნას ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტი. 4. დაევალოს ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს პროვინციებსა, ქალაქებსა და მაზრებში შექმნას ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის კომიტეტები ერთიან დემოკრატიულ სამამულო ფრონტში შემავალი ადგილობრივი ორგანიზაციების, პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. 5. დაევალოს ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს იმ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებათა განხილვა და ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის შემადგენლობაში მიღება, რომლებიც ცნობენ ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის პროგრამას და მზად არიან იბრძოლონ ამ პროგრამაში ჩამოთვლილი მიზნების განხორციელებისათვის. 6. მოწონებულ იქნას ამ ყრილობის მომწვევი მოსამზადებელი კომისიის მუშაობა.

შემდეგ ყრილობა გადავიდა მეორე საკითხის განხილვაზე. ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხან სერ ია.

ყრილობას მიესალმნენ ჩრდილოეთ კორეის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის დელეგაციები.

ყრილობის სახელზე მიღებულია პარტიებისა და მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წერილი და დეპეშა.

აჩესონის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 29 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აჩესონი ამ დღეებში პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა განცხადებით საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგების შესახებ. თავის გამოსვლაში აჩესონი შეეცადა ეჩვენებინა სისწორე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისა გერმანიის საკითხში, გაემართლებინა პოტსდამის საწინააღმდეგო კურსი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი ადგანან. აჩესონმა საჭიროდ ჩათვალა ხაზგასმით აღენიშნა როლი მარშალის გეგმისა, რომელმაც თითქოს დაუბრუნა „ძალა დასავლეთ ევროპას" და რომლის „წარმატება" თითქოს გახდა არა მარტო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის მიზეზი, არამედ გავლენაც მოახდინა საბჭოთა კავშირის პოზიციაზე, რომელიც, აჩესონის აზრით, გერმანიის საკითხში გადავიდა... „თავდაცვაზე". აჩესონმა არაფერი თქვა ნამდვილ მიზეზებზე, იმაზე, რომ პოტსდამის საწინააღმდეგო კურსი ამერიკის შეერთებული შტატებისა ჩასაფუშავად იყო განწირული და ამბები აიძულებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვა გამოსავალი მოენახათ, და შემდეგ განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები არაფერს არ დათმობენ იმ პროგრამაში, რომელიც ნავარაუდევია გერმანელებისათვის თავისუფლების მისანიჭებლად მათს საკუთარ საქმეებში და საოკუპაციო ხელისუფალთა კონტროლის შესასუსტებლად". იგი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს „ვერ ბედავს ასევე მოიქცეს". აჩესონმა შემდეგ აღნიშნა, რომ ავსტრიის ხელშეკრულების მხრივ პარიზის სესიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მან აღნიშნა, რომ ბევრი ტექნიკური საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მიღწეული შეთანხმება ავსტრიის იმ გადასახდელთა შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირმა უნდა მიიღოს, გადაუწყვეტელი რჩება, მაგრამ ისინი შეიძლება გადაწყვეტილ იქნას.

აჩესონმა შეაჯამა თავისი შთაბეჭდილებანი პარიზის სესიისა და ევროპის მდგომარეობის შესახებ და განაცხადა, არ შეიძლება დასავლეთი ერთ ადგილზე იდგეს—მან ან წინ უნდა იაროს, ან უკან დაიხიოს.

ინდონეზიის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა დახვრეტა

ნიუ-იორკი, 29 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინდონეზიის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ამირ შარიფუდინი, რესპუბლიკის ყოფილი დესპანი ცენტრალურ ევროპაში სურიპნო და კომპარტიის მდივანი ხაჯანო დახვრიტეს. ამ ცნობების თანახმად შარიფუდინი, სურიპნო და ხაჯანო ცენტრალური იავის გუბერნატორის ბრძანებით დახვრიტეს მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელებმა საომარი მოქმედება დაიწყეს ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ გასული წლის დეკემბერში.

საბერძნეთში დაარსდა მშვიდობის დაცვის მუდმივი კომიტეტი

ბუქარესტი, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი" იუწყება, 23 ივნისს, საბერძნეთში მშვიდობის დაცვის დროებითი კომიტეტის მოწოდებით, შეიკრიბნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერების მოღვაწეები, მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის დელეგატები და აირჩიეს მშვიდობის დაცვის მუდმივი კომიტეტი.

მუდმივმა კომიტეტმა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით. კომიტეტის თავმჯდომარეა პეტროს კოკალისი.

აღმასრულებელი კომიტეტი საბერძნეთის ყველა რაიონში მოაწყობს მშვიდობის დაცვის ადგილობრივ კომიტეტს და კავშირი ექნება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიოს კონგრესის მუდმივ კომიტეტთან.

საბერძნეთის მშვიდობის დაცვის მუდმივმა კომიტეტმა ვალდებულება იკისრა საბერძნეთში შექმნას მშვიდობის დაცვის ეროვნული კონგრესი.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს განცხადება

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). პრესაში გამოსაქვეყნებლად გადაცემულ განცხადებაში ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგებს ახასიათებს, როგორც ომის გამჩაღებლებისათვის ნაცემულ ლახვარს, და მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს უარყოს ატლანტიკის პაქტი და დასავლეთ ევროპის ხელახალი შეიარაღების პროგრამა. პარიზში შემდგარმა თათბირმა, აღნიშნულია საბჭოს განცხადებაში, „მნიშვნელოვნად შეანელა საერთაშორისო უთანხმოება, რომელიც გამოწვეული იყო ცივი ომით. თათბირმა ფაქტიურად მოუსპო ცივი ომის სტრატეგებს ამ ომის წარმოების საბაბი: საბაბი, რომელიც იმით გამოიხატებოდა, თითქოს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წარმოება არ შეიძლება. თათბირმა ცხადყო, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის მოლაპარაკების შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება და, თუმცა პარიზში ოთხი კვირის მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმება აშკარად შეზღუდული იყო თავისი ხასიათით, იგი მაინც იძლევა მომავალში საერთო შეთანხმების იმედს. გარდა ამისა, თათბირი აღინიშნა მნიშვნელოვანი პროგრესით საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ავტორიტეტის აღდგენის საქმეში, როგორც ისეთი მექანიზმისა, რომელიც შეიმუშავებს შეთანხმებებს ომისშემდგომი მშვიდობიანი ევროპის შესახებ, რაც ძირითადი ამოცანაა, რომლისთვისაც ეს საბჭო შექმნა პოტსდამის შეთანხმებამ".

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პარიზის თათბირის წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულ იქნა მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ სახელმწიფოებს არ სურდათ მიეღწიათ რაიმე შეთანხმებისათვის, „ამტკიცებს, რომ ომის გამჩაღებლებს არ შეუძლიათ ხანგრძლივად იარონ თავიანთი გზით, თუ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მხარს უჭერს საყოველთაო მშვიდობის დამყარებას და წინააღმდეგია ცივი ომის განგრძობისა, შეძლებს ზეგავლენა მოახდინოს იმათზე, ვისაც ძალუძს ატომური ომის მორევში გადაჰყარცნოს მსოფლიო.

ეს აგრეთვე სავსებით ცხადყოფს, რომ დედამიწის მშვიდობისმოყვარე ხალხებს ადვილად ვერ დააშინებენ ატომური ბომბით, რომლითაც ჩვენი ორპარტიული პოლიტიკის მომხრენი იმუქრებიან". მაგრამ, აღნიშნულია განცხადებაში, თუმცა მშვიდობისმოყვარე ხალხებმა მეტი შვებით ამოისუნთქეს პარიზის თათბირის მიღწევის გამო, ამერიკის ოფიციალური წრეები უკვე შეეცადნენ შეამცირონ კონფერენციის მნიშვნელობა.

მოჰყავს რა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონის შენიშვნა, რომელიც ამტკიცებდა, რომ, მისი აზრით, პარიზის თათბირმა ბევრს ვერაფერს მიაღწია, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭო თავის განცხადებაში განაგრძობს: „ბ-ნი აჩესონი და მისი ორპარტიული მრჩევლები შიშობენ, რომ პარიზის თათბირის პოზიტიურმა შედეგებმა შეიძლება თავი შეაკავებინონ ამერიკის კონგრესს საომარი გეგმების მოწონებისაგან, შეიძლება შეაგნებინონ ამერიკელ ხალხს, რომ საჭირო არ არის მილიარდობით დოლარის გადადება ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მილიტარიზაციისათვის და საჭირო არ არის ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო კავშირებში შესვლა. მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების დადება შეიძლება, ჩრდილო ატლანტიკის პაქტმა და ევროპის შეიარაღების პროგრამამ, აგრეთვე სამხედრო ბიუჯეტმა 15 მილიარდი დოლარის რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამერიკის ხელახალი შეიარაღებისათვის, უეჭველად დაკარგა თავისი „რეზონ დ'ეტრ" (თავისი აზრი.—რედ.). და ამას რომ შეიგნებს, ამერიკელი ხალხი მოითხოვს კონგრესს გადადოს სახსრები მშვიდობის დასამყარებლად, ნაცვლად იმისა, რომ სახსრებს იძლეოდეს ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო პაქტებისა და ატომური ბომბებისათვის".

ინგლის-არგენტინის სავაჭრო შეთანხმების ხელის მოწერა

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, რომ ინგლისმა და არგენტინამ გუშინ ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას ხუთი წლის ვადით. ამ შეთანხმების მიხედვით არგენტინა ინგლისს მიაწვდის ხორცს, ხორბალს და სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს, ხოლო ინგლისი არგენტინას მიაწვდის ნავთს და სხვადასხვაგვარ სამრეწველო საქონელს.

როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების მთავრობა გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ამ ხელშეკრულებას, რადგან ეს ხელშეკრულება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამერიკის ნავთის, მანქანებისა და სხვა მზა ნაწარმის ექსპორტს არგენტინაში და ამერიკის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტს ინგლისში. სახელმწიფო დეპარტამენტმა „მრავალმხრივი ვაჭრობის" პრინციპებისათვის მხარდაჭერის საბაბით წარდგინება გაუკეთა ორივე ქვეყანას. ზოგიერთი ამერიკელი ოფიციალური პირი გადაკვრით იმასაც კი ამბობდა, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიძლება რეპრესიები გამოიყენონ ინგლისის მიმართ, თუ ინგლისმა უარი არ თქვა ამ შეთანხმებაზე.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, პერონმა გააკეთა მოკლე განცხადება, რომელშიც შენიღბულად გამოთქვა გულისწყრომა იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები შეეცადნენ ხელი შეეშალათ ინგლის-არგენტინის შეთანხმების დადებისათვის. მისი სიტყვით, „გარედან გაკრიტიკებით" „შეუძლებელია ბოროტი განზრახვისა და ბოროტი გეგმების დაფარვა".

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა სპეციალური განცხადება ინგლის-არგენტინის სავაჭრო შეთანხმების შესახებ. განცხადებაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ „ინგლისის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს შეერთებულმა შტატებმა აღიარეს ის ფაქტი, რომ, სანამ ინგლისი დოლარების ნაკლებობას განიცდის, ინგლისის მთავრობას სხვა არა დარჩენია რა, თუ არ ის, რომ ეცადოს შეუთანხმდეს სხვა ქვეყნებს, ამასთან მიზნად დაისახოს თავი აარიდოს დოლარების დაკარგვას და შეინარჩუნოს იმპორტის მაღალი დონე". განცხადების მიხედვით, შეერთებული შტატების მიზანი ინგლისის წარმომადგენლებთან ამ მოლაპარაკების დროს თითქოს მხოლოდ „ის იყო, რომ ამ შეთანხმებებისათვის მიეცა საკმაოდ მოქნილი ხასიათი, რათა ეს შეთანხმებანი არ გაგრძელებულიყო უფრო მეტი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ეს განპირობებულია დოლარების ნაკლებობით".

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ ინგლისის წარმომადგენლებთან მისი თათბირის შედეგად ინგლის-არგენტინის შეთანხმების პირობები „გაცილებით უფრო მოქნილი გახდა, ვიდრე ამას არაოფიციალურად იუწყებოდნენ წინათ".

ტიტოს ხროვა იუგოსლავიის მარშალიზაციას ამზადებს

პარიზი, 24 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება ინგლის-იუგოსლავიის სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ. ამ შეთანხმებით ნავარაუდევია ინგლისმა იუგოსლავიას მისცეს კრედიტი ოცი მილიონი გირვანქა სტერლინგის (დაახლოებით 80 მილიონი დოლარის) რაოდენობით.

ამერიკული პრესის ცნობებით, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იუგოსლავია აგრეთვე ცდილობს მიიღოს ამ ბანკიდან კრედიტი 100 მილიონი დოლარის რაოდენობით. გარდა ამისა, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" 15 ივნისს გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, იუგოსლავიის მთავრობა ამერიკის ორ კერძო ბანკთან მოლაპარაკებას აწარმოებს მისთვის 5-დან 15 მილიონ დოლარამდე კრედიტის მიცემის შესახებ.

პარიზის ჟურნალისტთა წრეებში ყველა ამ მოლაპარაკებას აფასებენ როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს „მარშალის გეგმის" სისტემაში იუგოსლავიის მოქცევის გზაზე.

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

2-დან 6 ივლისამდე თბილისში ტარდება საქართველოს მოსწავლეთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც 1000-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. სპარტაკიადას აწყობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი.

სპარტაკიადა გაიმართება სპორტის ოთხ დარგში: ტანვარჯიშში, კალათბურთში, მძლეოსნობასა და ცურვაში.

ერთდროულად შედგება აგრეთვე მოსწავლეთა შორის საქართველოს თასზე ფეხბურთის პირველობის გათამაშება, საჭადრაკო ტურნირის ფინალი და შეჯიბრება ჩოგბურთში.

სპარტაკიადა გაიხსნება თბილისში ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

დიზელ-ექსპრესის ახალი მარშრუტი

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დააწესა დიზელ-ექსპრესი მატარებლის ახალი მარშრუტი: ზესტაფონი–ხაშური. მიმოსვლა — ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

ბილეთის შეძენა შეიძლება თვით მატარებელში.

ძვირფასი ნაკეთობები

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ხალხური შემოქმედების სახლმა შეიძინა ძვირფასი ნაკეთობა — შამილ ზასეიხოვის მიერ მსხლის ხეზე იშვიათი ოსტატობით ამოკვეთილი ცნობილი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის და მისი მშობლიური სოფლის — ნარის გამოხატულება.

ხალხური შემოქმედების სახლმა შეიძინა აგრეთვე ოსური ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები: „მომბახი", „თორმეტსიმიანი ქნარი", „ფანდური" და სხვ.

ფეხბურთი

29 და 30 ივნისს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში შედგა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1949 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩები.

29 ივნისს მოსკოვში სსრ კავშირის 1948 წლის ჩემპიონმა მოსკოვის „ცდკამ" დაამარცხა მინსკის „დინამო" ანგარიშით 4:1. ამავე დღეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ლენინგრადის „ზენიტი" თავის მოედანზე დამარცხდა მოსკოვის „ლოკომოტივთან" ანგარიშით 1:3.

30 ივნისს თბილისის „დინამომ" ჩაატარა პირველი წრის უკანასკნელი მატჩი სტალინგრადის „ტორპედოსთან". შეხვედრა მოიგეს სტალინგრადელებმა ანგარიშით 3:0. ამავე დღეს მოსკოვის „დინამომ" მოუგო მოსკოვის „სპარტაკს" ანგარიშით 4:1. კიევის „დინამომ"—ხარკოვის „ლოკომოტივს" ანგარიშით 2:1. ფრედ დამთავრდა ლენინგრადის „დინამოსა" და „ვვს"-ის (1:1), ერევნის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" (1:1) და სტალინოს „შახტიორისა" და ბაქოს „ნეფტიანიკის" (0:0) მატჩები.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა შემდეგი წიგნები:

ქილილა და დამანა. იგავ-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს ა. ბარამიძის წინასიტყვაობა. „ქილილა და დამანა" შედგება თოთხმეტი კარისაგან და დართული აქვს სარედაქციო შენიშვნები და ლექსიკონი.

წიგნის რედაქტორები არიან ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა.

რევაზ მარგიანი. სიმღერა კომუნიზმისა. ლექსები დაყოფილია შემდეგ ციკლებად: სიმღერა კომუნიზმისა, ფოლადის სამჭედლოში, ქართლის გზაზე, მოსავლის ამბავი, ახალი სიმღერები. წიგნის რედაქტორია ალ. გომიაშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1949-50 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ქართველური ენები (მარის სახელობის ენის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), საქართველოს ისტორია, არქეოლოგია (ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), ქართული ლიტერატურა (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), პოლიტეკონომია (ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსთაველის პროსპექტი № 33-35), ფილოსოფიის ისტორია, დიალექტიკური მატერიალიზმი (ფილოსოფიის ინსტიტუტი, რუსთაველის პროსპექტი № 33-35), საბჭოთა ხელოვნება (ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, კეცხოველის ქ. № 10), მექანიკა (მათემატიკის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), ორგანული ქიმია (ქიმიის ინსტიტუტი, კამოს ქ. № 34), გეოლოგია (გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი, მარის ქ. № 1), კლიმატოლოგია (ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, მარის ქ. № 1), ექსპერიმენტული ფიზიკა (ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), ასტროფიზიკა (აბასთუმნის ობსერვატორია), სატყეო მელიორაცია (სატყეო ინსტიტუტი, მარის ქ. № 63), ვაზის სელექცია, ღვინის ტექნოლოგია (თელავის მევენახეობის ინსტიტუტი), სატყეო ფიტოპათოლოგია, მცენარეთა ქიმიური დაცვა (მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, მარის ქ. № 33-35), მეხილეობა (მეხილეობის საცდელი სადგური, კასპი), მეზამბეობა, ბამბის სელექცია (მემინდვრეობის ინსტიტუტი, გარდაბანი), მცენარეთა ფიზიოლოგია, მცენარეთა სისტემატიკა (ბოტანიკის ინსტიტუტი, კოჯრის გზატკეცილი), ნიადაგის ეროზია და სამთო მიწათმოქმედების სისტემა, საავტომობილო საქმე (აკადემიის პრეზიდიუმი), ფხვნილების მეტალურგია, მადნეულთა გამდიდრება, ქიმიური ტექნოლოგია, ელექტროქიმიური წარმოების ტექნოლოგია, ლითონთმცოდნეობა, მადნეულ საბადოთა დამუშავების მეთოდი (ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, კამოს ქ. № 34), საშენი მასალები, ნაგებობათა გამოცდა, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია და მექანიზაცია, გვირაბები (სამშენებლო საქმის ინსტიტუტი, ბარათაშვილის ქ. № 8), ელექტროიონური ავტომატიკა, ელწევა, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, თბოტექნიკა, რადიოტექნიკა (ენერგეტიკის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), ეკოლოგია (ზოოლოგიის ინსტიტუტი, ძერჟინსკის ქ. № 8), ანთროპოლოგია (მორფოლოგიის ინსტიტუტი, კამოს ქ. № 51), ზოგადი ფიზიოლოგია (ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, მარის ქ. № 1), ჰემატოლოგია (ჰემატოლოგიის ინსტიტუტი, კამოს ქ. № 43), თერაპია-კარდიოლოგია (კარდიოლოგიის ინსტიტუტი, პლეხანოვის ქ. № 60).

ასპირანტურაში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში შემსვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს სათანადო ინსტიტუტის დირექტორისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილების უფროსის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, 2. ავტობიოგრაფია, 3. დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან ან უმაღლესი სასწავლებლიდან, 4. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 5. მეცნიერული ნაშრომი ან რეფერატი სპეციალურ საკითხზე, 6. საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 8. ორი შემოწმებული ფოტოსურათი.

ასპირანტურაში ჩარიცხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სასპირანტო კურსის გასავლელად მივლინებულ იქნება სსრ კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში.

განცხადება მიიღება 1 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები ჩატარდება 10-25 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილებაში, ტელეფონი 3-64-22.

თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის	1-VII	„სოფლის საამო საღამოები"
	2-VII	„სოფლის საამო საღამოები"
მუსიკალური კომედიის	1-VII	„სოფლის საამო საღამოები" პრემიერა
	2-VII	„სოფლის საამო საღამოები"
მოზარდ მაყურებელთა ქართული	1-VII	„საგანგებო დავალება"

თბილისის სამხატვრო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1949-50 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მხატვრებს ფერწერასა და ქანდაკებაში.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-30 წლის ასაკისა. პირველ კურსზე ჩაირიცხებიან 7 კლასის ცოდნით, რომელნიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს: ა) ხატვაში, ფერწერაში, კომპოზიციაში, ბ) სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), გ) მათემატიკაში (ზეპირი, წერა), დ) ქართულ და რუსულ ენებში (ზეპირი, წერა).

ის პირნი, რომლებმაც ფრიადზე დაამთავრეს 7 კლასი, თავისუფლდებიან ზოგადი განათლების საგნების ჩაბარებისაგან.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი შემოწმებული ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. მისამართი: ქ. თბილისი, გ. ქუჩიშვილის ქ. № 9.

თბილისი, სამხატვრო სასწავლებლის დირექცია, ტელეფონი 3-03-93.

შვილი ბორის, რძალი ბაბო, შვილიშვილი ალიკო გერასიმოვები, დები ელენე, მარიამ, ნუცა საყვარელიძეები, გიორგი გეხტმანი ოჯახებით იუწყებიან **თამარ გაბრიელის ასულ საყვარელიძე-გერასიმოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VII, 7 ს. გამოსვენება 2-VII, 6 ს. ბარნოვის, 42-ა.

ქეთევან და ლეო სანებლიძეები ოჯახით იუწყებიან ბორის გერასიმოვის დედის თამარის გარდაცვალებას.

მეუღლე თინა, შვილი ლილი სიხარულიძეები იუწყებიან **ვიქტორ ბიჭიას-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი, 1, 2-VII, 8 ს. გამოსვენება 3-VII, 5 ს. ელბაქიძის დაღმართი, 3/5.

მეუღლე მარიამ, შვილი ნოდარ, ძმა ნიკო, დები ელენე, მარიამ, თინა ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ 3-VII, 7 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ივანე რომანის-ძე ჯაფარიძის** პანაშვიდი.

საქსარეწმარაგგასაღების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. ბაბადიშს მისი მამის **დავით ზურაბის-ძე ანანიაშვილის** გარდაცვალების გამო.

შ. ბუგიანიშვილი, ც. ტავლალაშვილი, ა. პოლოვეცკაია, ზ. წითელოვა, ვ. გველესიანი, თ. მათიკაშვილი, ა. ყარალაშვილი, ლ. ოვანოვა, ნ. მიციკოვა, მ. იაიკოვა, ტ. ვერბიცკაია, ტ. კურჩენკო თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ კამალოვს მისი ბიძის **არტემ სულხანოვის** გარდაცვალების გამო.

დედა ბაბუცა, და ნათელა ქვანიები იუწყებიან **ვახტანგ ევგენის-ძე ქვანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-VII, 8 ს. ლამის, 20.

შვილები თამარ, გიორგი, მიშა, ირაკლი, რძლები თინა, თამარ, კატო, სიძე კოტე ედიბერიძე და შვილიშვილები იუწყებიან **დარო გიორგის ასულ ლაშხის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VII, 8 ს. გამოსვენება 3-VII, 3 ს. საბჭოს, 60.

მ. ნარსია, თ. ქარცხია, კ. გამეზარდაშვილი, ქ. ცავა, თ. კილურაძე, ვ. სანაძე, ს. ზაალიშვილი, ვ. ხელაშვილი, ს. კალანდაძე, დ. ორაგველიძე, ვ. კალანდაძე, ა. კენჭაძე, პ. გუგუნავა, ი. ცირეკიძე, გ. ლომია, შ. მელაძე, ბ. ბაღათურია, მ. წვერავა, შ. ბერიძე, ლ. ჯღიძიძე იუწყებიან **ვიქტორ სიხარულიძის** გარდაცვალებას.

ვ. სიჭინავა, ტ. თევზაძე, ნ. რიკამაძე, მ. ფარულავა, ქ. ფერაძე, დ. სარიშვილი, ნ. გიგაური, შ. ბოსტაშვილი, თ. პოლოსოვა და ნ. ჯავახიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ბ. გოგოძეს მისი მამის **პლატონის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ბერიას სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ აღმასკომის თავმჯდომარეს ბ. გოგოძეს მისი მამის **პლატონ მიხეილის-ძე გოგოძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მოსწავლის **აპოლონ კანკიას** გარდაცვალებას.

მეუღლე კუკური, შვილი ნანი, ნატაშა, მიშა, ეთერ, მერაბ, იასონ ქელიძეები ოჯახით იუწყებიან **შალვა ნიკოლოზის-ძე ზაალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VII, 8 ს. გამოსვენება 2-VII, 6 ს. მეორე პარალელური, 1.

თეო, ალექსანდრე და ტიტე შვანგირაძეები, თინა და უშანგი ობოლაძეები ოჯახებით იუწყებიან **მარიამ გიგოს ასულ იოსელიანი-ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნატალია, შვილები მიხეილ, იოსებ, რძლები თამარ, მარო, შვილიშვილები მერი, ზინა, გენადი, ნათელა ქუმსიაშვილები, ვანო, მანია მდივნიშვილები, გიორგი, ნინო მეგრელიშვილები ოჯახებით იუწყებიან **გიორგი სიმონის-ძე ქუმსიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VII წინანდალში.

მშობლები პოლიკარპე, ტონია, დები ლამარა, ჟანა, ბაბუა მიხეილ, ბებიები ეფროსინე, მარო, ბიძები კოტე, ილია, რაჟდენ კანკიები, ახმეტბეგოვი, ვერცინსკი, მისინოვი ოჯახებით იუწყებიან **აპოლონ კანკიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VII ს. ბანძაში.

თამარ, იოსებ, ვახტანგ, ბაია, გულნარა ივალიშვილები, ქეთევან ზაალიშვილი, გიორგი ბასიშვილი იუწყებიან **შალვა ნიკოლოზის-ძე ზაალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VII, 8 ს. გამოსვენება 2-VII, 6 ს. მეორე პარალელური, 1.

მეუღლე ვარო, შვილები სოფიო, თამარ, გიორგი, სიძეები ალექსი ლაფანაშვილი, ნიკოლოზ მინაშვილი, რძალი ვალია და შვილიშვილები იუწყებიან **დავით ზურაბის-ძე ანანიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VII, 8½ ს. გამოსვენება 2-VII, 6 ს. გროზნის შეს., 6.

შვილი სიმონ, რძალი ცაბუ, შვილიშვილები ნუნუ და თალიკო, ნ. ხოშტარია და კ. რევია, ცისანა, სიმონ, იზა, ლალი იუწყებიან **ვასილ ევგენის-ძე ლაბარტყავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VII ს. სეფიეთში (აბაშის რაიონი).

მშობლები ლიდა, ვლადიმერ, ძმები სულიკო, ბექან, ომარ, და ბელა, ბებია ეფროსინე შენგელიები, დეიდა სოფიო, ბიძა კოტე, ბიცოლა ნინო შონიტაშვილები იუწყებიან **ჟუჟუნას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VII, 8 ს. გამოსვენება 3-VII, 5 ს. პლეხანოვის, 132.

რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ყურის, ყელის და ცხვირის კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ი. ლაშხის დედის **დაროს** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნო — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსა და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 150.000

უე 01856